

ევრაზიის ინსტიტუტი

**უკრაინა: დასავლეთის ლაშქრობა
მართლმადიდებელი ცივილიზაციის
წინააღმდეგ გრძელდება**

თბილისი, 2014 წ.

ავტორი: გულბათ რცხილაძე

ყველაფერი ყოფილ იუგოსლავიაში დაიწყო...

1999 წლის 24 მარტს, გაეროს უშიშროების საბჭოს გვერდის ავლით, ანუ საერთაშორისო სამართლის სანინაალმდეგოდ, დაიწყო ნატო-ს სამხედრო ოპერაცია იუგოსლავიის წინააღმდეგ, სახელწოდებით „მონყალე ანგელოზი“. დაბომბვების შედეგად, რომლებიც 78 დღე გაგრძელდა, დაიღუპა 2 ათასი სამოქალაქო პირი, 7 ათასამდე დაიჭრა, მათ შორის 30% – ბავშვები. ოპერაცია დაიწყო წინასააღმდეგომოდ დღეებში, ხოლო ამერიკული და ბრიტანული თვითმფრინავების მიერ ჩამოყრილ ბომბებზე ეწერა: „ბედნიერი აღდგომა“...

ნატო-ს ოპერაცია 90-იანი წლების ბალკანეთის ომების ფინალური აკორდი გახდა და განაპირობა იუგოსლავიის საბოლოო დაშლა (რომელიც 1999 წლისთვის მხოლოდ ორი რესპუბლიკისგან სერბიისგან და ჩერნოგორიისგან შედგებოდა), ხოლო შემდეგ თავად სერბეთის დაშლა (2008 წლის თებერვალში მოხდა დასავლეთის სახელმწიფოების მიერ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება; სხვათა შორის, ეს ფაქტი ნეგატიურად აისახა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზე, მაგრამ დასავლეთს ეს არ აღელვებდა და არც აღელვებს).

მაგრამ ბალკანური ქვეყნების გარდა, ამ მოვლენას დიდი მნიშვნელობა გააჩნია მსოფლიო პოლიტიკის მთელი შემდგომი პერიოდისთვის. იუგოსლავია სულაც არ იყო აშშ-ს და მისი მოკავშირეების საბოლოო მიზანი. 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, აშშ-მ თანდათანობით დაიწყო თავისი ჰეგემონიის დამყარება მსოფლიოში. თავდაპირველად ამერიკელები ფრთხილად მოქმედებდნენ, მაგრამ შემდეგ ჩათვალეს, რომ მათ ძალისმიერ ქმედებებს უკვე ვერავინ შეუშლიდა ხელს და ის, ვინც ნებაყოფლობით არ დანებდება, ძალით უნდა იქნას დამორჩილებული. იუგოსლავია გახდა აშშ-ს ლიდერობით დასავლეთის ექსპანსიის პრელუდია აღმოსავლეთში – მართლმადიდებელი ცივილიზაციის წინააღმდეგ. იუგოსლავიის დაცემის და პრეზიდენტ მილოშევიჩის დამხობის შემდეგ, მოხდა ნატო-ს გაფართოება აღმოსავლეთის მიმართულებით. ალიანსში შეიყვანეს ბალტიისპირა ქვეყნები, ასევე რუმინეთი და ბულგარეთი ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. დასავლეთი მნიშვნელოვან პლაცდარმებზე გამაგრდა აღმოსავლური ექსპანსიის გასაგრძელებლად, რაც შემდგომში გამოიხატა „ფერადი რევოლუციების“ პროექტის განხორციელებით ზოგიერთ პოსტსაბჭოთა რესპუბლიკაში. საქართველო, როგორც ცნობილია, ყველაზე მეტად დაზარალდა დასავლეთის მიერ თავსმოხვეული „დემოკრატიის შუქურის“ – სააკაშვილის მოღვაწეობით, რომელიც რუსეთის წინააღმდეგ პროვოკაციებს აწყობდა და საქართველო ომში

ჩაითრია. საქართველოს გარდა, პროდასავლური გადატრიალებები მოეწყო უკრაინაში (2004 წ.) და ყირგიზეთში (2005 წ.). ხელისუფლების დამხობის წარუმატებელი მცდელობები აღინიშნა უზბეკეთში და ბელორუსიაში. რუსეთის ხელისუფლებამ პრევენციული ზომები მიიღო და არ დაუშვა სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაც კი, თუმცა დასავლეთის აგენტურა იქაც ცდილობდა მდგომარეობის დესტაბილიზაციას. ეს გასაკვირი არაა, დასავლეთის საბოლოო მიზანს ხომ „დემოკრატიზაცია“ – რუსეთის დამორჩილება წარმოადგენს.

მაგრამ დაჯუბრუნდეთ ყოფილ იუგოსლავიას. მკითხველს დაებადება შეკითხვა: **რატომ უნდა მივიჩნიოთ, რომ ნატო-ს სამხედრო ოპერაცია** (რომელიც ფორმალურად დაიწყო ძირძველი სერბული მხარის კოსოვოს ალბანური მოსახლეობის ცენტრალური ხელისუფლებისგან „დაცვის“ საბაბით) **მიმართული იყო მართლმადიდებელი სამყაროს წინააღმდეგ?** ამ კითხვაზე პასუხი საკმაოდ ადვილი დასასაბუთებელია. საქმე მარტო ის კი არაა, რომ ნატო-ს ავიაცია ბომბებს აყრიდა მართლმადიდებელ სერბებს წარწერით „ბედნიერი აღდგომა“, და დაანგრია 50 სერბული მონასტერი და ეკლესია, მათ შორის, იუნესკოს დაცვის ქვეშ მყოფი ტაძრები გრაჩანიცასა და პეჩში, თუმცა ესეც თავისთავად მნიშვნელოვანი ფაქტებია. საქმე ისაა, რომ დასავლეთის სტრატეგებმა დაინახეს: საბჭოთა კომუნიზმის შემდეგ დასავლეთის ქვეყნებს ერთი იდეოლოგიური მონინააღმდეგე დარჩათ ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცესა და ბალკანეთში – მართლმადიდებელი ქრისტიანობა. კომუნიზმისგან განსხვავებით, რომელიც უნივერსალურ მსოფლიო იდეოლოგიაზე აცხადებდა პრეტენზიას, მართლმადიდებლობა პოლიტიკური კუთხით არ არის აქტიური მსოფლიო მასშტაბით, მაგრამ ის, როგორც რელიგიური სწავლება, ბევრად უფრო მტკიცედ აერთიანებს საზოგადოებას იმ ქვეყნებში, რომლებიც თავს მიაკუთვნებენ ამ კონფესიას, ვიდრე ამას აკეთებდა კომუნიზმი. ხოლო ამა თუ იმ საზოგადოების ერთიანობა მართლმადიდებელი ფასეულობების ირგვლივ არ აწყობს დასავლეთს და აშშ-ს, რომლებიც პოლიტიკური ექსპანსიის განხორციელებას აპირებდნენ. სერბების, რუსების, ქართველების და სხვა ხალხების ერთგულება მართლმადიდებლობისადმი ნიშნავს მათ დამოუკიდებლობას და „უჩრობას“ დასავლური ინსტრუქციების მიმართ. **და, რაც მთავარია – მართლმადიდებელი ქრისტიანობა აერთიანებს აღმოსავლეთ ვეროპის ხალხებს ერთიანი ცივილიზაციის (კულტურულ-პოლიტიკური არეალის) ფარგლებში, რომლის ცენტრი, გამომდინარე გეოგრაფიული მასშტაბებიდან, მოსახლეობის რაოდენობიდან, სამხედრო და ეკონომიკური სიძლიერიდან და სხვა ძირითადი პარამეტრებიდან, არის რუსეთი.** დასავლეთს

სურს დაასუსტოს ეს კოლოსი – რუსეთი, რომ საბოლოოდ ჩაიგდოს ხელში გეოპოლიტიკური ბატონობა ევრაზიის კონტინენტზე. ამას იდეოლოგიურ წინააღმდეგობას უწევს მართლმადიდებელი ცივილიზაცია, რომელიც ნაწილობრივ აერთიანებს მუსლიმ ხალხებსაც და დასავლეთისგან განსხვავებით, ძალიან კარგი ურთიერთობა აქვს ტრადიციულ ისლამთან.



ეკლესია-მონასტრები იუგოსლავიაში ნატოს ავიაციის უმთავრეს სამიზნეებს შორის მოიაზრებოდნენ.

სწორედ ამიტომ, „ფერადი რევოლუციები“ უცხო, მართლმადიდებელი ქრისტიანობისგან შორს მდგომი ფსევდოფასეულობების მატარებელი აღმოჩნდა, ხოლო მათ ლიდერებს დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ მართლმადიდებელ ეკლესიასთან. ჩვენ, საქართველოში, კარგად გვახსოვს, რამდენად ძლიერი იყო სააკაშვილის რეჟიმის ზეწოლა ეკლესიაზე, როგორ ცდილობდა ხელისუფლება თავის მიერ კონტროლირებადი მასმედიის და არასამთავრობო ორგანიზაციების საშუალებით ეკლესიის დისკრედიტაციას, აღვივებდა შიდაეკლესიურ კონფლიქტებს, მხარს უჭერდა სხვა კონფესიებს და უცხოურ სექტებს, განათლების სისტემიდან მაქსიმალურად დევნიდა რელიგიურ ცოდნას

და საერთოდ, ქრისტიანულ მორალს. ეს ყველაფერი ხდებოდა „დასავლეთის სტანდარტებთან“ საქართველოს მიახლოების ლოზუნგით. განა ეს არ იყო ანტიმართლმადიდებლური პოლიტიკა? და განა ეს ცნობილი არ იყო დასავლეთის ქვეყნებისთვის, რომლებიც მხარს უჭერდნენ რეჟიმს? ასე რომ, თუკი „ვარდების რევოლუციას“, სხვა „ფერად რევოლუციებთან“ ერთად, ჩავთვლით დამორჩილების და დაყოფის პოლიტიკის გაგრძელებად, რომელიც დაიწყო 1999 წელს იუგოსლავიაში (ეს კი სწორედ ასეა, თუ გავითვალისწინებთ 2000 წელს მილოშევიჩის და 2003 წელს შვეარდნაძის დამხობის ტექნოლოგიების იდენტობას), მაშინ მისი ანტიმართლმადიდებლური მიმართულება ადვილად დასანახი იქნება, თუმცა ამის შესახებ დასავლელი სტრატეგები იშვიათად საუბრობენ (მაგალითად, ბუეზინსკი ან ბილდტი).

დასავლეთის ლაშქრობა უკვე არაკომუნისტური, არამედ მართლმადიდებელი აღმოსავლეთის წინააღმდეგ დაიწყო სწორედ სერბეთიდან (ყოფილი იუგოსლავია). ყველაფერი ის, რაც ახლა ხდება უკრაინაში, წარმოადგენს 15 წლის წინანდელი მოვლენების გაგრძელებას სხვა, მაგრამ არანაკლებ სასტიკ ფორმებში [დასავლეთის „აღმოსავლური სტრატეგიის“ შესახებ გირჩევთ ნახოთ ფრანგი ჟურნალისტის მანონ ლუაზოს დოკუმენტური ფილმი „აღმოსავლეთის დაპყრობა“, რომელიც 2000-იანი წლების შუახანებში გამოვიდა. ფილმი ხელმისაწვდომია ინტერნეტში].



ნატოს მიერ იუგოსლავიაში მოწყობილი სასაკლავო შედეგები.

შხამიანი „სიტკომ“ – ევროპასთან ასოციაცია

„ნარინჯისფერმა რევოლუციამ“ უკრაინა დაახლოებით ათი წლით უკან დახია თავის განვითარებაში. ცხოვრების დონე უკრაინაში 2005-2010 წლებში საგრძნობლად დაეცა. კერძოდ, თუ 2004 წლის შედეგებით, უკრაინის მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) მთელი 12.4%-ით გაიზარდა, უკვე 2005 წელს, „რევოლუციის“ შემდეგ, ეს მაჩვენებელი 2.6%-მდე დაეცა. 2013 წელს რუსეთის მშპ უტოლდებოდა დიდი ბრიტანეთის მშპ-ს და 2 ტრილიონ 118 მილიარდ დოლარს შეადგენდა. უკრაინის მშპ კი 175 მილიარდი დოლარი იყო – ვიეტნამის მშპ-ს უდრიდა და ოდნავ აღემატებოდა ანგოლის მშპ-ს. 2004 წელს რუსეთის მშპ 1 ტრილიონ 449 მილიარდს დოლარს აღწევდა და კანადის მშპ-ს ტოლი იყო. უკრაინის მშპ 2004 წელს 312 მილიარდი იყო და საუდის არაბეთის და ბელგიის მშპ-ს არ ჩამოუვარდებოდა. ანუ, 9 წელიწადში რუსეთის მშპ გაიზარდა ერთ-ნახევარჯერ, რამაც ის განვითარებული ქვეყნების დონეზე გაიყვანა შესაძარი მოსახლეობით, ხოლო უკრაინის მშპ ორჯერ დაეცა და განვითარებად ქვეყნებსაც კი ჩამოუვარდება. ეს მონაცემები ეკუთვნის საერთაშორისო სავალუტო ფონდს.

ეკონომიკურ წარუმატებლობას დაემატა დასავლეთის ინტერესების გამტარებელი „რევოლუციური“ ხელისუფლებების არასწორი პოლიტიკა ეროვნულ და რელიგიურ საკითხებში. ვ. იუშჩენკოს პრეზიდენტობის დროს, უკრაინის ხელისუფლება ფრთხილად და ზომიერად, მაგრამ მაინც ცდილობდა რუსული ენის განდევნას და არაკანონიკური „უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის“ გაძლიერებას რუსეთის ეკლესიის საპირწონედ, რომელსაც მიეკუთვნება მართლმადიდებელი უკრაინელების აბსოლუტური უმრავლესობა (რუსეთის ეკლესიის იურისდიქციას უკრაინაზე აღიარებს ყველა კანონიკური ეკლესია, მათ შორის საქართველოს საპატრიარქო). ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ უკრაინელები მთლიანობაში ეჭვის თვალით უყურებდნენ „რევოლუციის“ ლიდერებს და პირველივე შესაძლებლობის დროს, 2010 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე, დროებით თავი დააღწიეს მათ მმართველობას, აირჩიეს რა ვიქტორ იანუკოვიჩი. თუმცა არც იანუკოვიჩი იყო მაინც-დამაინც პოპულარული, მისი არჩევა მოხდა სხვა რეალური ალტერნატივის არარსებობის და მოსკოვთან მჭიდრო კავშირების გამო – უკრაინელების დიდი ნაწილი მართლმადიდებელ ცივილიზაციას ეკუთვნის და უფრო მეტად რუსეთისკენ მიისწრაფის.



უკრაინა: პროდასავლური დასავლეთი, პრორუსული აღმოსავლეთი და სამხრეთი და ნეიტრალური ცენტრი.

საერთოდ, ჩვენთან, საქართველოში, ხშირად ავიწყდებათ, რომ რუსებს და უკრაინელებს აერთიანებთ, ერთი მხრივ, რწმენა და ეკლესია, მეორე მხრივ, სისხლისმიერი და ენობრივი ნათესაობა. რუსული და უკრაინული ენები უფრო ახლოს დგანან ერთმანეთთან, ვიდრე, ვთქვათ, ქართული და მეგრული ენები. ბევრი უკრაინელი იყენებს ე.წ. სურჟიკს – უკრაინულის და რუსულის ნაზავს, ხოლო კიდევ უფრო მეტი უკრაინელი – ლიტერატურულ რუსულს. რუსებიც და უკრაინელებიც აღმოსავლელი სლავებია. თავად რუსეთი (Русь) „დაიბადა“ თანამედროვე უკრაინის ტერიტორიაზე და მხოლოდ საუკუნეების შემდეგ „გადასახლდა“ კიევიდან ჩრდილოეთში, მოსკოვის მიმართულებით. სიტყვა „უკრაინა“ იმიფრება, როგორც «*окраина Руси*» ანუ „რუსეთის განაპირა მხარე“... ამიტომ, ბევრი რუსი და უკრაინელიც მიიჩნევს, რომ რუსები და უკრაინელები (ბელორუსებთან ერთად) ერთიან ხალხს შეადგენენ.

მაგრამ რუსების და უკრაინელების ერთობას სტრატეგიული მონი-ნაალმდეგეები ჰყავთ აშშ-ს, ნატო-ს და ევროკავშირის სახით. დასავლეთის სახელმწიფოები და გლობალისტური ორგანიზაციები, გამომდინარე მათი გეოპოლიტიკური ინტერესებიდან, ახდენენ უკრაინელი ნაციონალისტებით მანიპულირებას, რომელთა მნიშვნელოვანი

ნაწილი მიეკუთვნება არა მართლმადიდებელ, არამედ უნიატურ, ან კათოლიკურ ეკლესიებს, ან სულაც სხვა კონფესიების მიმდევარია. აქვე აღვნიშნავთ, რომ ზოგიერთი ცნობილი უკრაინელი პოლიტიკოსი, მაგალითად, უმაღლესი რადის (პარლამენტის) თავმჯდომარე ა. ტურჩინოვი ბაპტისტია (ეს პროტესტანტული მიმართულება გავრცელებულია აშშ-ში), ხოლო პრემიერ-მინისტრი ა. იაცენიუკი კი ტოტალიტარული (ასევე ამერიკული) სექტის „საინტოლოგების“ წევრია.

გასაკვირი არაა, რომ დასავლეთი უკმაყოფილო იყო იანუკოვიჩის გამარჯვებით 2010 წლის არჩევნებზე, რადგან პროდასავლური კურსით მოსახლეობის გულაცრუების შემდეგ, მოსალოდნელი იყო რუსეთის და უკრაინის უფრო მჭიდრო თანამშრომლობა. მაგრამ დასავლელი პოლიტიკოსები არ წავიდნენ ახლადარჩეულ პრეზიდენტთან კონფრონტაციაზე, არამედ დაიწყეს მისი გადმობირება, სთავაზობდნენ რა ევროკავშირსა და უკრაინას შორის გაღრმავებული ეკონომიკური თანამშრომლობის პერსპექტივას, უკრაინისთვის ხელსაყრელ პირობებზე. ამავე დროს, „თაფლაკვერთან“ ერთად მათ გამოიყენეს „მათრახიც“ – იანუკოვიჩისგან მოითხოვდნენ ყოფილი პრემიერ-მინისტრის, „რევოლუციონერ“ ტიმოშენკოს გათავისუფლებას ციხიდან. კორუფციაში ჩაფლული იანუკოვიჩი, რომელსაც არ გააჩნდა სახელმწიფოს განვითარების მკაფიო სტრატეგია და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია – არანაირი იდეოლოგია, დაადგა ევროპელი ჩინოვნიკების მიერ შეთავაზებულ გზას და უკრაინის მოქალაქეებს ნათელ ფერებში უხატავდა ევროკავშირთან დაახლოების „ბედნიერ“ მომავალს, ე.წ. ასოცირებული ხელშეკრულების საფუძველზე. სახელმწიფო აპარატი გახდა უკრაინის ევროასოციაციის მთავარი პროპაგანდისტი. მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა, ბოლოს და ბოლოს, მაინც დაიჯერა, რომ უკრაინისთვის სასარგებლო იქნება ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება, ხოლო მათი კეთილდღეობა დიდად გაიზრდება. ვიმეორებთ: მოსახლეობის ამგვარი განწყობა განაპირობა თავად იანუკოვიჩის ხელისუფლების პროპაგანდამ, ევროპელი პოლიტიკოსების და ჩინოვნიკების ინიციატივით.

მაგრამ ხელშეკრულების ხელმოწერის მოახლოებასთან ერთად, იანუკოვიჩისთვის სულ უფრო ნათელი ხდებოდა, რომ ეს დოკუმენტი უკრაინისთვის დიდი სიკეთის მომტანი არ იყო, პირიქით, საფრთხეს უფრო წარმოადგენდა, რადგან გაართულებდა რუსეთთან სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს, სანაცვლოდ კი არაფერს იძლეოდა. იანუკოვიჩი ცდილობდა ევროკავშირთან შევაჭრებას, მოითხოვდა მრავალმილიარდიან კომპენსაციებს ხელმოწერის შედეგად მიღებული ზარალის ასანაზღაურებლად, მაგრამ ის ვერც კი მიხვდა, რომ დასავ-

ლეთმა ხაფანგში შეიტყუა. ბოლო მომენტში ხელშეკრულების ხელმონერაზე უარის თქმით, იანუკოვიჩმა მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის უკმაყოფილება გამოიწვია. დესტრუქციული ძალებისთვის ადვილი გახდა საპროტესტო გამოსვლების, შემდეგ კი არეულობის მოწყობა. ასე მოხდა „მაიდანის“ ორგანიზება 2013 წლის ნოემბერში. როგორც მოსალოდნელი იყო, მომიტინგეთა მოთხოვნები ევროასოციაციის ხელმონერაზე სწრაფად შეიცვალა პრეზიდენტის და მთავრობის გადადგომის მოთხოვნებით. ამავე დროს, დასაწყისიდანვე „მაიდანს“ აშკარად ანტირუსული ხასიათი ჰქონდა, ხოლო მის ძირითად ბირთვის წარმოდგენდნენ უკრაინის დასავლეთ პროვინციების მცხოვრებლები, ძირითადად არამართლმადიდებლები. სალი აზრი ნაციონალისტურ აურზაურში ჩაიკარგა.

დასავლური „დემოკრატიის“ უნივერსალური იარაღი: ცილისნამება და ტყუილი

ისევე, როგორც მილოშევიჩის შემთხვევაში, უკრაინის პრეზიდენტ იანუკოვიჩის დასამხობად გამოყენებული იქნა დაუფარავი სიცრუე და ცილისნამება. მილოშევიჩს თავის დროზე აბრალებდნენ კოსოვის მხარის ეთნიკური წმენდის მცდელობას, თითქოსდა სერბებს მისი ბრძანებით უნდა გაეძევებინათ მთელი ალბანური მოსახლეობა. ეს ბრალდება არასოდეს არ დამტკიცებულა და უფრო მეტიც, დღეს აღიარებულია სიყალბედ, რომელიც შეიქმნა გერმანიის თავდაცვის სამინისტროში, იმჟამინდელი მინისტრის რუდოლფ შარპინგის პირადი მონაწილეობით (ამ პიროვნებამ თავისი პოლიტიკური კარიერა დაასრულა კორუფციული სკანდალის გამო). შარპინგის უწყება ფოტო-ფალსიფიკაციებითაც იყო დაკავებული. მაგალითად, გამოცხადდა, თითქოს სერბები ახორციელებენ ალბანელების მასობრივ დახვრეტებს. ამის დასამტკიცებლად წარმოადგინეს ფოტოგრაფია, რომელზეც გამოსახული იყო მამაკაცთა ორ ათეულამდე გვამი. თუმცა შემდგომში გაირკვა, რომ ეს იყო ალბანელი ბოევიკების გვამები, რომლებიც სერბეთის პოლიციასთან ბრძოლაში დაიღუპნენ. სხეულები სპეციალურად იყო შეგროვილი ერთ ადგილას და ისეთნაირად გადაღებული, რომ იქმნებოდა უიარაღო ადამიანების მასობრივად სიკვდილით დასჯის სურათი... 2001 წელს ფალსიფიკაცია გამოაშკარავდა, გერმანიის პარლამენტის დეპუტატმა, ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის ყოფილმა ვიცე-პრეზიდენტმა ვილი ვიმერმა დარწმუნებით განაცხადა: „იუგოსლავიის ომი ჩვეულებრივი შემტევი ომი იყო!“. მაგრამ იმ კრიტიკულ მომენტში, 1998-1999 წლების მი-

ჯნაზე, როცა ნატო ეძებდა იუგოსლავიის განადგურების საბაბს, ამ ცილისმწამებლურმა კამპანიამ და ტყუილმა თავისი შედეგი გამოიღო – საზოგადოებრივი აზრი ევროპაში სამხედრო ოპერაციის დაწყების სასარგებლოდ გადაიხარა.

დასავლეთის იმავე „ფასეულობებმა“ – სიცრუემ და ცილისმწამებამ შთააგონეს ამერიკელებს და ევროპელებს ერაყში შეჭრა 2003 წელს, სადაც, ვაშინგტონიდან და ბრიუსელიდან გაკეთებული განცხადებების საპირისპიროდ, რა თქმა უნდა, არ აღმოჩნდა მასობრივი განადგურების იარაღი. იგივე განმეორდა ლიბიაში, მისი ლიდერის მუამარ კადაფის დემონიზაციის შემდეგ. სირიაში და მით უმეტეს, ირანში შეჭრისთვის დასავლეთს ძალები არ ეყო, თუმცა ეს ქვეყნები და მათი ლიდერებიც ასევე დემონიზაციის ობიექტს წარმოადგენდნენ. ირანი მაინც დაზარალდა ეკონომიკური სანქციების შედეგად, ხოლო სირიას ტერორისტ-ისლამისტები შეუსიეს, რომლებიც ნაწილობრივ ამერიკული სპეცსამსახურების მიერ კონტროლდებიან.

უკრაინასთან დაკავშირებით საუბარი არ არის დასავლეთის სამხედრო ინტერვენციაზე, ეს უკვე მეტისმეტი იქნებოდა. მაგრამ პრინციპი – ცილი დასწამონ პოლიტიკურად არახელსაყრელ ლიდერს და გაავრცელონ მის შესახებ არასწორი ინფორმაციები – ძალაში რჩება. იანუკოვიჩის მონინალმდეგებმა მას დააბრალეს დემონსტრანტების დახვრეტა მაშინ, როცა ტყვიებისგან დაიღუპნენ არა მხოლოდ მომიტინგეები, არამედ სპეცდანიშნულების რაზმების წევრებიც, რომლებიც კანონიერ ხელისუფლებას იცავდნენ. მაგრამ დასავლელმა პოლიტიკოსებმა და ჟურნალისტებმა ერთხმად იანუკოვიჩი და მისი მინისტრები დაადანაშაულეს ყველაფერში, დეტალებში ჩახედვის გარეშე. ჯერ კიდევ 1992 წელს, როცა იწყებოდა ეთნოსებს შორის ომი ბოსნიაში, ამერიკელმა ჟურნალისტმა პიტერ ბროკმა გაზეთებში და ჟურნალებში გამოქვეყნებული 1500 სტატია გადაამუშავა, რომლებიც ეკუთვნოდა ახალი ამბების სააგენტოებს დასავლეთში და უკვე მაშინ მივიდა დასკვნამდე, რომ პუბლიკაციების შეფარდება სერბების წინააღმდეგოდ და მათ სასარგებლოდ შეადგენდა 40:1 (მართლმადიდებელ სერბებს თავიდანვე არ სწყალობდა დასავლური პრესა). დაახლოებით ასეთივე თანაფარდობა იყო დასავლეთის მასმედიაში კიევის მოვლენების გაშუქების დროს – იანუკოვიჩის წინააღმდეგ (ხოლო ახლა, დონბასში ომის ფონზე – რუსეთის და მისი ლიდერის პუტინის წინააღმდეგ).

შეგახსენებთ: კიევის ცენტრში ბრბომ, შეიარაღებულმა ლითონის საგნებით, ქვებით, ცეცხლგამჩენი საშუალებებით, ბარიკადები აღმართა. დაპირისპირება ნოემბრის ბოლოდან თებერვლის ბოლომდე გაგრძელდა. სიტუაცია „მაიდანზე“ დაიძაბა 19 იანვრის შემდეგ, როცა

ხელისუფლება შეეცადა საკანონმდებლო დონეზე აეკრძალა მასობრივი არეულობები. გახშირდა ადამიანების მძიმედ დაშავების და დაღუპვის შემთხვევები – როგორც მომიტინგეების, ასევე სამართალდამცავების. მაგრამ კიევის ახალი ხელისუფლების განცხადებების საპირისპიროდ, ხალხის დახვრეტის ნამდვილი შემკვეთები და შემსრულებლები გამოვლენილი არ არიან. აი რას წერს „ნოვია გაზეტას“ ავტორი (2014 წლის 7 აპრილი):

„პირველი: არ მჯერა, რომ ბრძანებებს გასცემდა იანუკოვიჩი (თუმცა მათ ვილაც გასცემდა). ვიცი რა ამ ადამიანის მორალურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობა იმ მომენტში, შემიძლია ვივარაუდო, რომ ის ამაზე არ წავიღოდა.

მეორე: როგორც ითქვა, ცეცხლი გაიხსნა 20 თებერვალს სასტუმრო „უკრაინადან“. „ბერკუტი“ ვერაფრით ვერ იქნებოდა 20 თებერვალს სასტუმრო „უკრაინაში“, ეს აბსოლუტურად ზუსტია. აღნიშნული სასტუმროს შენობა, ისევე როგორც პროფკავშირების სახლი და ოქტომბრის სასახლე (მათაც ახსენებდნენ სროლის განხორციელების ადგილებად) მაიდანის თავდაცვის ძალების კონტროლქვეშ იყო. თუ დაფუძვებით აზრს, რომ ამ ძალებს შორის იყვნენ პროვოკატორები, რომლებიც მუშაობდნენ მესამე ძალაზე ან „რეგიონალებზე“, მაშინ „თავდაცვის ძალების“ დანარჩენმა ჯგუფებმა რატომ არ დააკავეს სნაიპერები? ნებისმიერ შემთხვევაში, სროლა არ შედიოდა „იანიკის ბრიგადის“ ინტერესებში.

მესამე: ითქვა, რომ ხალხი დახოცეს სიმონოვის თვითმსროლელი კარაბინიდან. საეჭვოა, რომ სპეცდანიშნულების ძალები სარგებლობდნენ ამ იარაღით, რომელიც დიდი ხანია, მოხსნილია შეიარაღებიდან. უკრაინის შსს-ს და უშიშროების სამსახურის სნაიპერები თანამედროვე შაშხანებს იყენებენ.

მეოთხე: მთავარი. არ იქნა გაცემული პასუხი კითხვაზე: ვინ ესროდა თავად „ბერკუტის“ მებრძოლებს, რომელთა რიგებში ბევრი იყო დაღუპული სნაიპერის ტყვიებისგან?

დაბოლოს, თუ ყველაფერი ისე იყო, როგორც ამბობენ უკრაინის პროკურატურის, შსს-ს და უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელები, გაუგებარი რჩება, უშუალო შემსრულებლები რატომ არ გაიქცნენ საზღვარგარეთ, როგორც ეს გააკეთეს იანუკოვიჩმა და ძალოვანი სტრუქტურების ყველა ხელმძღვანელმა? რატომ დაელოდა ეს 12 ადამიანი, რომლებიც ახლა ჩვენებებს იძლევიან, თავიანთ დაპატიმრებას?

საპასუხო ცეცხლის გახსნის ნებართვა გასცა შინაგან საქმეთა მინისტრმა ზახარჩენკომ. 20 თებერვალს ის ულტიმატუმით გამოვიდა: განაცხადა, რომ მილიციონერებს შორის არიან ტყვიებით დაღუპულები, ამიტომ ოპოზიციისგან მოითხოვა იარაღის დაყრა და

შენიშნა, რომ სამართალდამცავებს გამოეყოთ საბრძოლო იარაღი და ის გამოყენებული იქნება „მილიციის შესახებ“ კანონის შესაბამისად. „ბერკუტის“ სპეცდანიშნულების რაზმი ხუთეულებით მუშაობდა: ერთი სნაიპერი, სამი დამზღვევი მეავტომატე, ერთი პიროტექნიკოსი. ამოცანა – მოწინააღმდეგის სნაიპერების გაუვნებლყოფა, სამთავრობო კვარტალთან მისასვლელების გადაკეტვა, თუ ბრძოლა მიდის. ამიტომ ისინი არ დაიმაღლენ მოვლენების შემდეგ: დარწმუნებული იყვნენ იმაში, რომ კანონიერ ბრძანებას ასრულებდნენ და სპეციალურად არავის ხოცავდნენ.

უიარაღო დემონსტრანტები (პირობითად უიარაღო – ფარებით და ბეისბოლის ბიტებით აღჭურვილები) სწორედ ამ მომენტში შეტევაზე გადავიდნენ. „ბერკუტელები“ ვერ ხვდებოდნენ, საიდან მოდის ცეცხლი და თავდაც ისროდნენ, თავდაცვისას. რადგან ტელევიზიით უკვე გადაიკა ინფორმაცია, რომ „ბერკუტი“ იარაღით ხელში გამოვიდა ქუჩაში, „ლეგიონერებმა“ (ასე დავარქვათ) მიიღეს ბრძანება, ცეცხლი გაეხსნათ ასევე დემონსტრანტებისთვისაც. გარდა ამისა, ომში ხშირად თავისიანები ხვდებიან „მეგობრული ცეცხლის“ ქვეშ – რამდენი ასეთი შემთხვევაა ერაყში და ავღანეთში. ხოცვა-ჟლეტის შედეგი – ასზე მეტი დაღუპული.

სწორედ ამ სცენარზე მიანიშნა ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ურმას პაეტმა თავის ცნობილ სატელეფონო საუბარში ბარონესა ეშტონთან. ვფიქრობ, უკრაინის ხელისუფლებამ უნდა განაგრძოს გამოძიება და არ შეეშინდეს იმის აღიარება, რომ სნაიპერები ორივე მხრიდან იყვნენ. ისევ და ისევ, პირობითად, რადგან „მაიდანის მხარე“ ძალიან ბევრ ძალას და ადამიანს მოიცავდა. და თუნდაც მეორე მხარეს, ხელისუფლებაში სხვადასხვა პერსონაჟები იყვნენ – ლევოჩკინი, მაგალითად, დიდი ხანია მუშაობდა მაიდანის სასარგებლოდ. იანუკოვიჩი, რა თქმა უნდა, დამნაშავეა იმაში, რომ მან ევროპული ქვეყანა ამ მდგომარეობამდე მიიყვანა. მაგრამ იმის თქმა, რომ მან შეუკვეთა ყველა მკვლელი – ნახევარსიმართლეა. ეს კი ტყუილზე უარესია, განსაკუთრებით ამ სიტუაციაში“.

„ნოვია გაზეტა“ მაინც ძალიან რბილად წერს, და არ ითვალისწინებს ისტორიულ გამოცდილებას. მაგრამ პარალელები ბევრია – 1989 წელს ბუქარესტში და 1991 წელს ვილნიუსში ადამიანები ასევე უცნობი სნაიპერების ტყვიებისგან იხოცებოდნენ. ამერიკის სპეცსამსახურების და მათი აგენტურის დადანაშაულება მტკიცებულების გარეშე ასევე ძნელია, მაგრამ დამტკიცებულია მათი მონაწილეობა მრავალ ტერორისტულ აქტში ევროპის ტერიტორიაზე, ათწლეულების განმავლობაში, რომლებიც ეწყობოდა მემარცხენე ძალების დისკრედიტაციის მიზნით, მათთვის ტერაქტების გადაბრალების საშუალებით. საუბარია ნატო-ს

არმიების საიდუმლო ქსელზე, რომელიც ჩაფიქრებული იყო, როგორც პარტიზანული არმია დასავლეთ ევროპაში საბჭოთა კავშირის შეჭრის შემთხვევაში, მაგრამ ამგვარი შეჭრის არარსებობის პირობებში, მუტაცია განიცადა და გადაიქცა ტერორისტულ ორგანიზაციად, რომელსაც მფარველობდა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო (ცსს – „ცერეუ“). თავის დროზე ფართო რეზონანსი ჰქონდა შვეიცარელი ავტორის დანიელ განზერის (Daniele Ganser) კვლევას სახელწოდებით „აშშ-ს საიდუმლო არმიები: ოპერაცია „გლადიო“ და ტერორიზმი დასავლეთ ევროპაში“. ამ კვლევის შესახებ მოთხრობილია გულბათ რცხილაძის წიგნში „აშშ-ს საგარეო პოლიტიკის საფუძვლები ამერიკელი და ევროპელი ავტორების მიხედვით“ (თბილისი, 2008 წ.).

დ. განზერი მრავალრიცხოვანი ფაქტების საფუძველზე დამაჯერებლად აჩვენებს, რომ ე.წ. ცივი ომის დროს, დასავლეთ ევროპის მრავალი ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედებდნენ გასაიდუმლოებული ტერორისტული ორგანიზაციები, რომლებიც აწყობდნენ აფეთქებებს, გატაცებებს, მკვლევობებს, ხოლო მასმედია ამაში ბრალს სდებდა მემარცხენე პარტიებს (კომუნისტებს და მათ მოკავშირეებს). იტალიის ტერიტორიაზე, აშშ-ს და დიდი ბრიტანეთის სპეცსამსახურების მიერ შექმნილი საიდუმლო ქსელი ატარებდა „გლადიოს“ (ხმალი) სახელწოდებას. განზერის ნაშრომში ნაჩვენებია, რომ 60-70-იან წლებში იტალიაში მომხდარი რამდენიმე გახმაურებული ტერორისტული აქტი სწორედ ამ ქსელის ოპერატიული მუშაკების მიერ იყო მოწყობილი, და არა მემარცხენე ბოევიკების მიერ, როგორც ადრე ფიქრობდნენ. ამასთან, საიდუმლო აგენტების კოორდინაციას სპეცსამსახურები აწარმოებდნენ, ხოლო ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოები, სასამართლოები და პოლიტიკოსებიც კი უძღური იყვნენ მათი მოქმედება გაეკონტროლებინათ ან შეეჩერებინათ. ანალოგიური ქსელები იყო შექმნილი დანიაში, ნორვეგიაში, ბელგიაში და ბევრ სხვა ქვეყანაში. თურქეთში მოქმედებდა მძლავრი და განშტოებული ქსელი სახელწოდებით „რუხი მგლები“, რომელსაც მფარველობდნენ ნატო-ს სპეცსამსახურები და თურქი სამხედროები.

კიევში სიტუაციის დაძაბვის ფონზე, გაჩნდა ხელსაყრელი პირობები ტერორისტული ორგანიზაციების მოქმედებისთვის, „გლადიოს“ სტილში. ულტრამემარჯვენე ნაციონალისტების დაჯგუფება – ე.წ. „მემარჯვენე სექტორი“ დ. იაროშის ხელმძღვანელობით გადაიქცა „მაიდანის“ დამრტყმელ ძალად, ამავედროულად ითავსებდა ჟანდარმის ფუნქციებს თავად ოპოზიციური სპექტრის და მთელი უკრაინის მიმართ. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ძალამ გამოავლინა კარგი ორგანიზებულობა, დისციპლინა, სტრუქტურული გამართულობა, იდეოლო-

გიური მოტივაცია და ამასთან, აშშ-სთან ათანხმებდა თავის მოქმედებებს. რატომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კიეველი სნაიპერები დაკავშირებული იყვნენ ამ აშკარად ფაშისტურ ორგანიზაციასთან? მათი პრინციპი ხომ ასეთია – ნაციონალისტური მიზნების მისაღწევად ყველა საშუალება გამოდგება! ნებისმიერ შემთხვევაში, მიზანი მიღწეული იქნა – დაღვრილი სისხლი იანუკოვიჩს მიაწერეს და მისი დამხობა დროის საკითხი გახდა.

ქრონოლოგიურად თუ გავასწრებთ მოვლენებს, დასავლეთის ცრუ და ცილისმწამებლური პროპაგანდის კონტექსტში უნდა აღვნიშნოთ მალაიზიური თვითმფრინავიც, რომელიც 17 ივლისს ჩამოვარდა აღმოსავლეთ უკრაინაში, საბრძოლო მოქმედების ზონაში, რის შედეგადაც დაიღუპა 298 ადამიანი, მათ შორის უმრავლესობა – ევროპის მოქალაქენი. ეს რეზონანსული ტრაგედია, რა თქმა უნდა, არავის ტოვებს გულგრილად. ბევრი ჩვენთაგანი სარგებლობს ავიატრანსპორტის მომსახურებით და ჩვენ, როგორც მგზავრები, განსაკუთრებულად ვუთანაგრძნობთ და სოლიდარობას ვუცხადებთ ავიაკატასტროფების მსხვერპლთა ოჯახებს. ასეა მთელ მსოფლიოში და ამიტომ ყოველი ავიაკატასტროფა რეზონანსულია, განსაკუთრებით თუ საქმე ეხება სამხედრო მოქმედებებით გამოწვეულ ტრაგედიას. შესაბამისად, ამგვარი ტიპის მოვლენები ადვილად შეიძლება პოლიტიკური მიზნებით იქნას გამოყენებული. მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრი დაგმობს და მკვეთრად უარყოფითად იქნება განწყობილი იმათ მიმართ, ვინც თვითმფრინავის ჩამოვარდნის მიზეზი გახდა.

ნათელი უნდა იყოს, რომ არც დონბასელ მეომრებს, არც, მით უმეტეს, რუსეთს, არ ჰქონდათ არავითარი საჭიროება სამოქალაქო თვითმფრინავის ჩამოგდებისა. მაგრამ დასავლური პრესა უკვე ტრაგედიის დღესვე უსირცხვილოდ „აყეფდა“ და დამნაშავეც „იპოვა“ – რა თქმა უნდა, დონბასელი მებრძოლეების სახით. ბევრი პირადად პუტინს ადანაშაულებს. მაგრამ დასავლეთის ნაქები „თავისუფალი“ პრესა, როგორც ვნახეთ იუგოსლავიის მაგალითზე, იშვიათად აზროვნებს დამოუკიდებლად, არამედ ელოდება თავიანთი პოლიტიკოსების მითითებებს. აშშ-ს უმალლესი ხელმძღვანელობა – პრეზიდენტი ობამა, ასევე პენტაგონის და ცსს-ს წარმომადგენლები აკეთებენ უპასუხისმგებლო, პროვოკაციულ განცხადებებს, თითქოს მათ უკვე აქვთ მონაცემები, რომ ლაინერი აჯანყებულების მიერ გაშვებულმა საზენიტო რაკეტამ ჩამოაგდო. მაგრამ სად არის დაპირებული მტკიცებულებები? რასაკვირველია, ამგვარი საბუთები ობამას და მის ქვეშევდრომებს არ აქვთ, ყოველ შემთხვევაში, მათი სიტყვები ჯერ-ჯერობით არაფრით არ არის გამაგრებული. სამაგიეროდ, აგრესიულ-მორჩილი მასმედიის

საშუალებით მოხდა საზოგადოებრივი აზრის ფორმირება, რომ ტრაგედიაში დამნაშავეა რუსეთი. ავიაკატასტროფის მომწყობად, რომლის გამოძიება ჯერ მხოლოდ დაიწყო და თავად რუსეთმა მოითხოვა საერთაშორისო გამოძიების ჩატარება, უკვე გამოაცხადეს გარკვეული მხარე (ამბობებულები). უფრო მეტიც, ცალკეულ შემთხვევებში დასავლური პრესა პირდაპირ პროვოკაციებს აწყობდა. მაგალითად, ნამყვანი გერმანული ჟურნალი „Der Spiegel“ გამოვიდა გარეკანით, რომელზეც გამოსახული იყო MH17 რეისის დაღუპული მგზავრების ფოტოები, ხოლო მათ ქვემოთ მოთავსებული იყო წარწერა: „შეაჩერეთ პუტინი ახლავე!“ დასავლური მასმედიის ისტერიამ დაღუპული მგზავრების ოჯახების წევრებიც დაარწმუნა, რომ ყველაფერში დამნაშავეა რუსეთი და მისი მხარდაჭერით მოქმედი აჯანყებულები. ჰანს დე ბორსტი, 17 წლის დაღუპული გოგონა ელზემიკის მამა, ღია წერილში წერდა ვლადიმერ პუტინს: „ბატონო პუტინო და კონფლიქტის სხვა მონაწილეებო, მე მაქვს საფუძველი ვიფიქრო, რომ ერთ-ერთი თქვენთაგანი ჩემი ქალიშვილის მკვლელია“.

რა თქმა უნდა, უბედური ჰოლანდიელი გოგონას უბედურ მამას წარმოდგენა არ აქვს, რომ აღმოსავლეთ უკრაინაში, უკრაინის ჯარის საარტილერიო და საავიაციო შეტევების შედეგად, დასავლეთის ჩუმი მხარდაჭერით (მათ შორის, მისი მშობლიური ჰოლანდიის მხარდაჭერით), ყოველდღე იღუპებიან ისეთივე მშვიდობიანი ადამიანები, როგორებიც იყვნენ მალაიზიური „ბოინგის“ მგზავრები. ხოლო ვლადიმერ პუტინს არ შეუძლია სამშვიდობო ძალები შეიყვანოს კონფლიქტის ზონაში და შეაჩეროს სისხლისღვრა, რადგან იცავს საერთაშორისო კანონმდებლობას, საზიანოდ ჰუმანიზმის პრინციპებისა, რუსეთის ინტერესებისა დაბოლოს, საკუთარი პირადი რეიტინგისა. უნდა ავუსხნათ ბატონ ევროპელებს, რომ სლავები ისეთივე ადამიანებია, როგორც „თეთრი ევროპელები“. ამიტომ, ხმაური უნდა ატეხილიყო არა სამგზავრო თვითმფრინავის ჩამოვარდნის დღეს, არამედ დიდი ხნით ადრე – მაშინ, როცა დაიწყო მთელი ქალაქების და სოფლების დაბომბვები აღმოსავლეთ უკრაინაში. მაგრამ დასავლური მასმედია ბოლო მომენტამდე იგნორირებას უკეთებდა მართლმადიდებელი აღმოსავლეთის მსხვერპლს. ასევე არავინ დასვა კითხვა: თუ დონბასელი მებრძოლები ასეთი საშიში ტერორისტებია, რატომ დართეს ნება მშვიდობიან „ბოინგს“ უკრაინელმა დისპეჩერებმა, საბრძოლო მოქმედებების ზონის თავზე გადაეფრინა? რატომ ასაიდუმლოებს უკრაინა პილოტების საუბრებს დნეპროპეტროვსკელ დისპეჩერთან? კითხვები ჯერ კიდევ ბევრია...



მალაიზიურმა ავიაკომპანიამ ტრაგედიაში 10-ჯერ ისარგებლა მარშრუტით, რომელიც დონეცკის ოლქს გვერდს უვლიდა. 17 ივლისს კი, ამ მარშრუტმა, გაურკვეველი მიზეზით, აღმოსავლეთისაკენ - საომარი მოქმედებების ზონის თავზე გადმოინია. წყარო: *Dailymail.com*

მაგრამ ასეა თუ ისე, ვაშინგტონის კიდევ ერთი პოლიტიკური მიზანი მიღწეულია: ავიალაინერის ტრაგედიის შემდეგ ევროპა, როგორც იქნა, დათანხმდა რუსეთის წინააღმდეგ მკაცრი ეკონომიკური სანქციების შემოღებას. აშშ-ს და გერმანიას შორის მომხდარი ჯაშუშური სკანდალი, რომელიც დაკავშირებულია ამერიკელების მიერ გერმანიის კანცლერის პირადი ტელეფონის მოსმენასთან, უკანა პლანზე გადავიდა. ხოლო წინა პლანზე წამოვიდა რუსეთის დასჯის მოთხოვნები. გონიერების ხმა ისევ ჩახშობილი იქნა. აშშ-მ მოახერხა ევროპის ჩათრევა რუსეთთან სანქციების ომში. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დანებებით აღნიშნა ეს ფაქტი და ამასთან, გამოკვეთა მოსკოვის საბასუსო ქმედებები: „გვრცხვენია ევროკავშირის მაგივრად, რომელიც საკუთარი „ერთიანი ხმის“ ხანგრძლივი ძიების შემდეგ, ვაშინგტონის ხმით ალაპარაკდა და პრაქტიკულად უკუაგდო საბაზისო ევროპული ფასეულობები, მათ შორის, უდანაშაულობის პრეზუმპცია. /.../ ევროკავშირი, როგორც ჩანს, მზად არის, ნავიდეს სერიოზულ ეკონომიკურ დანაკარგებზე, ავანტიურული გეოპოლიტიკური გეგმების განხორციელების გულისთვის. /.../ რა თქმა უნდა, გავითვალისწინებთ ევროკავშირის ამჟამინდელ არაკონსტრუქციულ და არადამოუკიდებელ ქცევას, მასთან შემდგომი ურთიერთობების აგების თვალსაზრისით“, – ნათქვამია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს კომენტარში, 2014 წლის 30 ივლისს, ევროკავშირის მიერ გამოცხადებულ მორიგ სანქციებთან დაკავშირებით.

უკრაინის დესუპერნიზაცია და კრახი

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ დასავლეთს სურს, დაიმორჩილოს პოსტაბჭოთა ქვეყნები და არა იმეგობროს მათთან. დასავლელი პოლიტიკოსების აგდებული დამოკიდებულება უკრაინის, როგორც სუვერენული სახელმწიფოს მიმართ, ჩანდა მათი ქცევიდან „მაიდანზე“. ევროპარლამენტარების და ამერიკული სათამაშოს – ფორმალურად ქართველი სააკაშვილის შემდეგ, 2013 წლის დეკემბერში კიევში გადმოსხვის ქალების „დესანტი“ ევროკომისარ ქეთრინ ეშტონისა და ამერიკელი დიპლომატის ვიქტორია ნულანდის შემადგენლობით. „დასავლეთის ქალებმა“ უხეში ფორმით მოსთხოვეს მაშინდელ პრეზიდენტ იანუკოვიჩს, რომ შეენწყვიტა ბარიკადების განმენდა – იმ დროისთვის ხელისუფლებამ მოახერხა მშვიდობიანად გაეთავისუფლებინა „მაიდანის“ დიდი ნაწილი ბარიკადების ნაგვისგან. ეს გაუგონარი მოთხოვნა იყო, მაგრამ 48-მილიონიანი უკრაინის სუვერენიტეტი არ აღმოჩნდა სათანადო დონეზე, ხელისუფლება დაჰყვა ქალი-დიპლომატების ზენოლას. საქართველოში ბევრმა იხილა ტელევიზიით, თუ როგორ ურიგებდა ქალბატონი ნულანდი „მაიდანზე“ ნამცხვრებს მომიტინგეებს და წესრიგის დამცველებს. ეს კადრები ყველაფერზე მეტყველებს – უკრაინამ, როგორც სუვერენულმა სახელმწიფომ, ამ კონკრეტული მომენტისთვის უკვე განიცადა კრახი.



„აჰა, ჭამე, მურიავ!“

მაგრამ საქმე მართო გარეგნულ ეფექტებში როდია. ფაქტო-

ბრივად, უკრაინას ულტიმატუმი წაუყენეს: ან ხელს მოაწეროთ ასოციაციის ხელშეკრულებას მასში კორექტურების შეტანის გარეშე, ან ხელისუფლება დაემხოება. მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ დასავლეთი ასეთი ტონით ესაუბრებოდა კორუმპირებულ იანუკოვიჩს, რადგან ეს უკანასკნელი მაინც საყოველთაოდ არჩეული, კანონიერი პრეზიდენტი იყო. თავისი ქცევით დასავლეთმა შეგნებულად გათელა უკრაინის სუვერენიტეტი, რადგან მისი ამოცანა იყო ის, რაზეც ვისაუბრეთ – **დამორჩილება პარტნიორობის ნაცვლად.**

ვნახოთ, თუ როგორ ჩამოიქცა უკრაინის სუვერენიტეტი პრაქტიკულად მთლიანად, უკვე იანუკოვიჩის დამხობის შემდეგ. პრემიერ-მინისტრი გახდა არსენი იაცენიუკი, ხოლო პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი – პარლამენტის თავმჯდომარე ალექსანდრ ტურჩინოვი. როგორც უკვე ვახსენეთ, ორივე სექტანტებს წარმოადგენენ და არსებითად აზროვნებენ ანტიმართლმადიდებლური კატეგორიებით. უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელი კვლავ გახდა ვალენტინ ნალივაიჩენკო – „მაიდანის“ დროს „მემარჯვენე სექტორის“ მფარველი და ცსს-ს გაშიფრული აგენტი, რომელიც დიდად არც ფარავს თავის კავშირებს ამერიკულ სპეცსამსახურებთან. მის წინააღმდეგ ჯერ კიდევ 2013 წელს საქმე იყო აღძრული სახელმწიფო საიდუმლოებების გამჟღავნების გამო 2008-2010 წლებში, როცა ის ასრულებდა უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობებს.

უკრაინის გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე რენატ კუზმინი (2013 წ. სექტემბერი): „დეპუტატების განცხადების საფუძველზე რეგისტრირებულია სისხლის სამართლის წარმოება სახელმწიფო საიდუმლოების გაცემასთან დაკავშირებით, უშიშროების სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელის ნალივაიჩენკოს მიერ. ამჟამად საუბარია საიდუმლო მასალების გამჟღავნებაზე და კონფიდენციალური მონაცემების გადაცემაზე. კერძოდ, მოწმდება ინფორმაცია, სახალხო დეპუტატების მიერ მონოდებული, რომ ბ-ნმა ნალივაიჩენკომ ცსს-ს თანამშრომლებს გამოუყო ცალკე კაბინეტი უშიშროების სამსახურის მთავარ შენობაში და მისცა მათ საშუალება, გაცნობოდნენ საიდუმლო დოკუმენტებს. ამასთან, არც ერთ უცხოელ სპეციალისტს ამგვარ სამუშაოსთან დაშვება ოფიციალურად არ მიუღია. ამჟამად მიმდინარეობს მონაცემების შეკრება, იკითხებიან უშიშროების სამსახურის სხვა თანამშრომლები, ტარდება ექსპერტიზები“.



ნალივაიჩენკო „მემარჯვენე სექტორის“ ფაშისტური დროშის ფონზე.

აი, სწორედ ეს ნალივაიჩენკო „იზრუნებს“ ამერიიდან უკრაინის სუვერენიტეტზე და უსაფრთხოებაზე. ნათელია, რომ მთავარ იდეოლოგიურ მეტოქედ ის მიიჩნევს არა ამერიკულ სექტებს, არამედ მართლმადიდებლობას, მართლმადიდებელ ცივილიზაციას – მისი გაგებით

ფუნდამენტალიზმს. აი ციტატა თავად ნალივაიჩენკოს ინტერვიუდან სავიკ შუსტერის გადაცემაში: „უკანონო შეიარაღებული ფორმირებების ლიდერები მონამღულნი არიან ევროაზიატული ფუნდამენტალიზმის იდეოლოგიით. მათ გამოზარდეს რუსი სამხედროების მთელი თაობა, რომლებიც დარწმუნებული არიან, რომ უკრაინის ტერიტორიაზე უნდა გაანადგურონ უკრაინელები – ისინი, ვისაც განსხვავებული აზრი და ცხოვრების წესი აქვს, ვიდრე მათ პროფაშისტურ და ევრაზიულ წარმოდგენებშია. საშიშროება იმაშია, რომ ამის წარმოჩინება ხდება, როგორც მართლმადიდებლობის ახალი ტალღა – მართლმადიდებლური ფუნდამენტალიზმი. ეს საშიში იდეოლოგიაა, რომელიც გამოიყენება ამ ჰიბრიდულ ომში“.

ამის შემდეგ როგორ უნდა შეგვეპაროს ექვი, რომ დასავლეთის მიერ უკრაინის დამორჩილება სხვა, უფრო ფართო მიზნებს არ ემსახურება? თუკი მოვახდენთ ნალივაიჩენკოს აზრის პროექცირებას მართლმადიდებელ ფუნდამენტალიზმთან დაკავშირებით დასავლეთის პოლიტიკაზე, მივიღებთ შემდეგ ფორმულას: აშშ-ს სპეცსამსახურებმა გამოზარდეს პოლიტიკოსების მთელი თაობა, რომლებიც დარწმუნებული არიან, რომ უნდა განადგურდეს ყველა ის, ვისაც განსხვავებული აზრი და ცხოვრების წესი აქვს, ვიდრე დასავლურ (ლიბერალურ) წარმოდგენებშია; ამ გზაზე მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენს მართლმადიდებლური აზროვნება პოლიტიკაში, იდეოლოგია, დაფუძნებული მართლმადიდებლურ ფასეულობებზე, რომელიც აერთიანებს ხალხს დასავლური ნეოლიბერალური ფსევდო-ფასეულობების წინააღმდეგ.



ალექსანდრ ტურშინოვი

მაგრამ განვაგრძოთ პრეზიდენტ იანუკოვიჩის დამხობის შედეგების განხილვა უკრაინის სახელმწიფოსთვის. ნალივაიჩენკოს გარდა, „მაიდანმა“ სახელმწიფოს სათავეში მიიღო ისინი, ვის წინააღმდეგაც იბძროდა – კორუმპირებული ოლიგარქები. პიოტრ პოროშენკო (ნამდვილი გვარია ვალცმანი, ხოლო პოროშენკო დედის გვარია, რომელიც პოროშენკოს მამამ მეუღლისგან აიღო ქორწინების შემდეგ) პრეზიდენტად აირჩია არეულობისგან დაღლილმა ქვეყანამ. იგი ცნობილია, როგორც ოდიოზური „მე-5 არხის“ მფლობელი, რომელიც იყო „მაიდანის“ მედიური რუპორი, ასევე მის საკუთრებაშია კიევის ვერფი „ლენინსკაია კუზნია“, კორპორაცია „ბოგდანი“, ლუცკის საავტომობილო ქარხანა და საკონდიტრო კორპორაცია „როშენი“. ამ უკანასკნელის დასახელება, როგორც ამბობენ ინფორმირებული ადამიანები, მოიგონა მისმა ცოლმა, პოროშენკოს გვარიდან პირველი და ბოლო მარცვლის გამოკლებით. პოროშენკოს ქონება შეფასებულია 2-დან 3 მილიარდ დოლარამდე. მისი მამა, ალექსეი ვალცმანი, ქორწინების შემდეგ პოროშენკოდ ქცეული, საბჭოთა კავშირის დროს ნასამართლევ იყო ქონების დატაცების გამო. თავად პიოტრ ალექსეევიჩი 1990-იან წლებში გამდიდრდა. მას არ უყვარს თავისი ებრაული ფესვების გახ-

სენება და გალიზიანებულიც იყო, როცა ჟურნალმა „ფორბსმა“ შეიყვანა „მსოფლიოს 165 ყველაზე მდიდარი ებრაელის“ სიაში. ფიცხი, შურისმაძიებელი, ზედმეტად ამბიციოზური პოროშენკო მართლმადიდებელია, მაგრამ თავისი პირადი თვისებების, დიდ პოლიტიკაში გამოუცდელობის და მისი საფინანსო აქტივების დასავლეთის ბანკებზე დამოკიდებულების გამო ძალიანაც აწყობთ დასავლელ პოლიტიკოსებს, როგორც პროგნოზირებადი და მართული „პარტნიორი“.



*უკრაინელი პატრიოტები უბრალო პაიკები არიან ოლიგარქთა თამაშში
(რუსული კარიკატურა პ. პოროშენკოსა და ი. კოლომოისკიზე).*

თავის ებრაულ წარმომავლობას არ მალავს და, უფრო მეტიც, წარმატებით იყენებს საკუთარი ბიზნესის გასაძლიერებლად ამჟამად უკრაინის ყველაზე გავლენიანი ოლიგარქი იგორ კოლომოისკი. ანგარიშიანი და დაუნდობელი კოლომოისკი, რომელმაც უზარმაზარი ქონება 1990-იან წლებში, განგსტერული „გარჩევის“ შედეგად დააგროვა (კოლომოისკი სიმდიდრით მესამეა უკრაინაში, საქართველოშიც აქვს მას ბიზნეს-ინტერესები „პრივატბანკის“ სახით), „მაიდანს“ ასპონსორებდა, ხოლო გადატრიალების შემდეგ დენპროპეტროვსკის გუბერნატორის სავარძელი მიიღო, საიდანაც თავისი ფინანსური და პოლიტიკური გავლენის რადიკალური გაძლიერებით არის დაკავებული. კოლომოისკიმ დააფინანსა და შეაიარაღა აჯანყებულებთან ბრძოლაში განსაკუთრებული სისასტიკით გამორჩეული ბატალიონები „დნეპრი“, „აზოვი“, „აიდარი“, „დონბასი“. ამასთან, ჩადებული ფული „ბენიამ“ სარგებლით ამოიღო არმიაში სანვაგ-საპოხი მასალების მი-

წოდებაზე მონოპოლიით. ეყრდნობა რა თავის კერძო არმიაში თავ-მოყრილ ბოვიეებს, კოლომოსკი მიიჩნევს, რომ უკრაინის ახალ ხელისუფლებას უკარნახებს, საით უნდა აიღონ კურსი. კოლომოსკის ლობი აშშ-ში უკვე მოქმედებს. ასე მაგალითად, ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის ევროპული, რუსული და ერაზიული კვლევების ინსტიტუტის ექსპერტი ედვარდ გალაჰერი პოროშენკოს კოლომოსკით შეცვლის აგიტაციას ეწევა და ამ უკანასკნელის დამსახურებად მიიჩნევს იმას, რომ მის მიერ კონტროლირებადმა დეპუტატებმა რადაში გაიტანეს გაზის ტრანსპორტირების ეროვნული სისტემის გადაცემის გადანყვეტილება ამერიკელი და ევროპელი ინვესტორებისადმი. ლოგიკური იქნებოდა, ამტიკიცებს გალაჰერი, რომ „ადამიანმა, რომელსაც ასეთი ფინანსური და პოლიტიკური რესურსები და კავშირები აქვს აშშ-ში, ევროპაში და ისრაელში, უფრო მეტი უფლებამოსილებები მიიღოს, ვიდრე მხოლოდ ერთ-ერთი რეგიონის გუბერნატორობა“. პოროშენკო ცდილობს, ღიად არ დაუპირისპირდეს კოლომოსკის და იმალება მისი მონინალმდევე სხვა ოლიგარქების ზურგს უკან (ახმეტოვი, ფირტაში და ა.შ.).

აი ასეთი, უსინდისო ოლიგარქების სათარეშო ადგილად გადააქციეს „სუვერენული“ უკრაინა, რომელმაც გაზაფხულზე მაინც მოაწერა ხელი ევროასოციაციას. როგორც ნახსენები იყო, კოლომოსკის მცდელობით, უკრაინის გაზის ტრანსპორტირების სისტემა, რომელიც მანამდე ეროვნულ საკუთრებად ითვლებოდა, უცხოელებს გადაეცა. აშშ-ს ადმინისტრაცია ტყუილად როდი ცდილობდა „ევრომაიდანის“ მოწყობას: გარდა გეოპოლიტიკური ამოცანებისა, ის თავის ფინანსურ ინტერესებსაც იკმაყოფილებდა. აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტის ჯო ბაიდენის შვილი ჰანტერი გადატრიალების შემდეგ გახდა უკრაინაში ენერგეტიკული ბიზნესის პირდაპირი მონაწილე და მიიღო ადგილი ყველაზე მსხვილი უკრაინული გაზის მწარმოებელი კომპანიის Burisma Holdings-ის დირექტორთა საბჭოში. როგორც ჩანს, ახლა, უმაღლესი რადის მიერ შესაბამისი კანონის მიღების შემდეგ, დასავლური ემისარები გახდებიან სახელწიფო კომპანიების – „ნაფტოგაზის“ და „უკრტრანსგაზის“ ან იმ ახალი კომპანიების მენეჯერები, რომელთა შექმნას კიევი აპირებს მათ საფუძველზე. საინტერესოა, რომ კანონი დასავლელი ლობისტების ზენოლის ქვეშ იქნა მიღებული – 3 ივლისს კანონპროექტი ვერ გავიდა დეპუტატთა ნაწილის წინააღმდეგობების გამო (224 ხმის ნაცვლად, მხოლოდ 170 მიიღო), მაგრამ მეორე დღეს, ზუსტად აშშ-ს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად, ყველაფერი „რიგზე“ დადგა – წინააღმდეგი არავინ წასულა.

ცხადია, რომ ამერიკელებს არ დააკმაყოფილებს მხოლოდ მილსადენის ბიზნესი ან გაზის საცავეები. ისინი ქვეყნის აღმოსავლეთის ხელში ჩაგდებას ცდილობენ, სადაც მდებარეობს ფიქალის გაზის საბადოები.

სწორედ სლავიანსკის და კრამატორსკის რაიონში, სადაც ივლისის დასაწყისამდე გააფთრებული ბრძოლები მიდიოდა (ტაქტიკური მოსაზრებებით აჯანყებულებმა დატოვეს ეს ქალაქები) აღმოჩენილია ფიქალის გაზის ძირითადი რეზერვები უკრაინაში, რომელიც აინტერესებს ამერიკელებს. ამ გაზის მოპოვება მიზანშეწონილია ნაკლებად დასახლებულ ადგილებში, სერიოზული ეკოლოგიური რისკების გათვალისწინებით, მაგრამ არც კივს და არც დასავლეთს არ აინტერესებს რეგიონის ეკოლოგია და ადგილობრივი მოსახლეობის ჯანმრთელობა. უკრაინის შეიარაღებული ფორმირებების მიერ სლავიანსკის და კრამატორსკის ადებისთანავე შემოღობილია დიდი ტერიტორიები, სადაც ფიქალის გაზის სავარაუდო საბადოები მდებარეობს.

2014 წლის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, უკრაინამ სწრაფად შეიძინა ქვეყანა-კოლონიის ნიშნები. ვალის გადაუხდელობის გამო რუსეთმა გაზის მიწოდება შეწყვიტა და კივსის სახლების უმეტესობაში უკვე ზაფხულში არ არის ცხელი წყალი. „მხიარული“ ზამთარია მოსალოდნელი... ფასები კომუნალურ მომსახურებაზე ორჯერ გაიზარდა, გაძვირდა საკვები პროდუქტები, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტი საშიშად დეფიციტური გახდა. ახალი ამბებიდან (უკრაინული წყაროები):

უკრაინის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი 2014 წლის იანვარი-ივნისში შეადგენდა 22 მილიარდ 686.3 მილიონ ჰრივენას, რაც შეესაბამება წლიური მაჩვენებლის 68 მილიარდ 564.3 მილიონის 33.1%-ს, რომელიც დამტკიცებული იყო უმაღლესი რადის მიერ 2014 წლის 27 მარტს. ამის შესახებ იტყობინება უკრაინის ფინანსთა სამინისტროს პრეს-სამსახური. ამასთან, 2014 წლის 5 თვის მონაცემებით, დეფიციტი შეადგენდა მხოლოდ 12 მილიარდ 224 მლნ ჰრივენას. ამგვარად, ივნისის განმავლობაში ეს მაჩვენებელი ერთბაშად 1.85-ჯერ გაიზარდა.

– ინფლაციამ უკრაინაში 2014 წლის პირველ ნახევარში შეადგინა 11.6%, მშპ 3%-ით დაეცა, ხოლო ჰრივნის კურსი დევალივირებულია 47%-ით, სააგენტო «უნიანს» აცნობა ეკონომიკური განვითარების და ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ანატოლი მაქსიუტამ. „წლის პირველ ნახევარში, ჩვენი გათვლებით, მშპ-ს დაცემა შეადგენს 3%-ს. ჩვენი პროგნოზი წლის ბოლომდე – მშპ-ს შემცირება 6%-ით, ინფლაცია – 19%“, – პროგნოზირებს მაქსიუტა. მან აღნიშნა, რომ მისი სამინისტრო არ მოელის ჰრივნის კურსის მკვეთრ დაცემას და იმედოვნებს, რომ სავალუტო ფონდის მორიგი ტრანში სიტუაციის სტაბილიზაციას მოახდენს სავალუტო ბაზარზე. მინისტრის მოადგილემ ასევე განაცხადა, რომ უკრაინული საქონლის ექსპორტი რუსეთში ხუთი თვის განმავლობაში 24%-ით დაეცა, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. მაქსიუტამ აღნიშნა, რომ მთლიანობაში უკრაინული საქონლის და მომსახურების ექსპორტი 5 თვის განმავ-

ლობაში 8.4%-ით შემცირდა. ამასთან, იმპორტის შემცირებამ 16.2% შეადგინა.

სახეზეა ეკონომიკის ნგრევა და უკრაინის სრული დამოკიდებულება საერთაშორისო სავალუტო ფონდზე და სხვა საფინანსო ინსტიტუტებზე, სადაც დომინირებენ დასავლეთის ქვეყნები. უკრაინა ეკონომიკურად და პოლიტიკურად დამორჩილებული გახდა. დასავლეთის ლაშქრობა მართლმადიდებელი ცივილიზაციის წინააღმდეგ გრძელდება, მაგრამ პრობლემებს ქმნის დონბასის ურჩობა. ხოლო შემდეგი გაჩერება, უკრაინელი ნაციონალისტების პატრონების გათვლით, რუსეთია. ტყუილად როდი ჩაფრინდა კიევში, გადატრიალების შემდეგ, პრეზიდენტ პუტინის მიერ შეწყობილი ეკონომიკური დამანაშავე მიხაილ ხოდორკოვსკი, რომელმაც სტრუქტურებს მიმართა მეფის რუსეთთან მებრძოლი პოლონელი ნაციონალისტების ცნობილი ლოზუნგით: „ჩვენი და თქვენი თავისუფლებისთვის!“. ხოლო გაზეთ „ნიუ-იორკ თაიმსში“ დასავლეთის სპეცსამსახურების მიერ ხელოვნურად შექმნილმა „ოპოზიციონერმა“ ალექსეი ნავალნიმ გამოაქვეყნა სტატია, სადაც ხაზი გაუსვა უკრაინის ფაქტორის მნიშვნელობას რუსეთში პროდასავლური ძალების გამარჯვებისთვის.

რატომ არ მოიხუშვა ყირიმის და დონბასის მოსახლეობა უკრაინის შემაღენლობაში ცხოვრება

2010 წელს არჩეულმა იანუკოვიჩმა მაშინვე მიიღო ქვეყნის საგარეო კურსთან დაკავშირებული ძალზე სწორი და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება: მან გამოაცხადა უკრაინის არასაბლოკო სტატუსი და პრაქტიკულად გამორიცხა ნატო-ში განევრინების შესაძლებლობა. ეს გადაწყვეტილება საკანონმდებლო დონეზე გამყარდა (უკრაინელთა 60%, გამოკითხვების თანახმად, ნატო-ში განევრინების წინააღმდეგი იყო). გარდა ამისა, იანუკოვიჩმა გაახანგრძლივა რუსეთის სამხედრო ბაზის სევესტოპოლში ყოფნის ვადა გრძელვადიანი იჯარის საფუძველზე. ეს გადაწყვეტილებები ხელს აძლევდა უკრაინის მოსახლეობას, განსაკუთრებით აღმოსავლეთ რეგიონებში და ყირიმში. ყველაფერი მშვიდად იყო და არავინ ფიქრობდა უკრაინის შემაღენლობიდან გამოსვლაზე. მართლმადიდებელი ცივილიზაციისადმი კუთვნილება ნიშნავს იმას, რომ უკრაინელთა უმრავლესობას არ სურდა დასავლური სამხედრო ალიანსის შემაღენლობაში ყოფნა, რომელიც მიმართულია რუსეთის წინააღმდეგ. ხოლო იანუკოვიჩის დამამხობელი ძალები პროპაგანდას უწევდნენ დასავლეთთან რადიკალურ დაახლოებას, ნატო-ს შემაღენლობაში შესვლის ჩათვლით. ეს კი მიუღებელი იყო ყირიმის და აღმოსავლეთის რეგიონებისთვის.

მეორე ადგილზეა ენობრივი ფაქტორი. გადატრიალების შემდეგ მეორე დღესვე, გაუქმდა რუსული ენის რეგიონალური სტატუსი. ნაციონალისტები პარლამენტში ფეხზე ამდგარნი უკრავდნენ ტაშს, მაგრამ უკრაინის მოსახლეობა ამით არ აღფრთოვანებულა.

„მაიდანის“ ხელისუფლებამ გადაწყვიტა შეჭრილიყო საეკლესიო-რელიგიურ სფეროშიც. გადატრიალების შემდეგ „მაიდანის“ შეიარაღებულმა აქტივისტებმა ცოცხალი ჯაჭვი შემოარტყეს კიევ-პეჩორის ლავრას და მონასტერს სუშიში. ისინი მოითხოვდნენ ამ მართლმადიდებელი წმინდა ადგილების დაქვემდებარებას არაკანონიკური ნაციონალისტი „პატრიარქი“ ფილარეტისთვის. რა თქმა უნდა, ამგვარმა ქმედებამ სულაც არ გაზარდა „მაიდანელების“ მიმართ ნდობა მორწმუნეთა რიგებში.

მთლიანობაში, ბევრი უკრაინელი, როგორც აღმოსავლეთში, ასევე ცენტრში, ნეგატიურად აღიქვამს უკრაინელი ნაციონალისტების „გმირს“, სტეპან ბანდერას. ნაციონალისტების ერთგულება „ბანდეროვშინის“ მიმართ აღმოსავლეთ უკრაინელების გაღიზიანებას იწვევს. ბანდერა ფაშისტად ითვლება (სინამდვილეში ომის და დაკითხვების მეთოდები ბანდერას და შუხევიჩის რაზმებს კიდევ უფრო სასტიკი ჰქონდათ, ვიდრე გერმანელ „ესესელებს“. მეორე მსოფლიო ომის დროინდელი უკრაინელი „პატრიოტები“ გერმანელებს ტოლს არ უდებდნენ ანტისემიტიზმში – სხვათა შორის, ცალკე კვლევის თემაა, თუ როგორ მოახერხეს კოლომოსისნაირმა ებრაული წარმოშობის ოლიგარქებმა, რომელიც მფარველობს დნეპროპეტროვსკის სინაგოგას, საერთო ენის გამონახვა თანამედროვე ბანდერელებთან და რაში მდგომარეობს მათი თანამშრომლობის აზრი), ხოლო ფაშიზმის ნებისმიერ გამოვლინება მიუღებელია მართლმადიდებლური ცნობიერების მქონე ადამიანისათვის.

ფაშიზმი არ რჩება ხოლმე მხოლოდ თეორიის და სიმბოლური თაყვანისცემის დონეზე, ის აუცილებლად გამოიყვანდება პრაქტიკაში. ზუსტად ასე მოხდა თანამედროვე უკრაინაში. ბანდერას ფანებმა, რომლებიც ჩირაღდებით მსვლელობებს აწყობდნენ ქალაქების ქუჩებში, უპრეცედენტო ვერაგობა და სისასტიკე გამოავლინეს, ოდესელი მომიტინგეების – „ანტიმაიდანელების“ პროფკავშირების სახლში შერეკვით, რომელშიც ხანძარი გააჩინეს და ცოცხლად დანვეს თავიანთი თანამოქალაქეები. ამ ნაცისტური შაბაშის შედეგად 2 მაისს ოდესაში 50 ადამიანამდე დაიღუპა. გამოძიება ობუექტურად არ ჩატარებულა და რეალური დამნაშავეები დაუსჯელნი რჩებიან.

ამ დროისთვის ყირიმმა უკვე მოასწრო თავისი გადარჩენა „მაიდანელების“ სადამსჯელი ლაშქრობებისგან, საყოველთაო რეფერენდუმის ჩატარებით და რუსეთის შემადგენლობაში შესვლით. ძნელი მისახვედრი არაა, რა ელოდათ ყირიმელებს (ძირითადად ეთნიკურ რუსებს) მაშინ, როცა არ დაინდეს ოდესელები (ძირითადად ეთნიკური უკრაინელები). „მაიდანური“ ხელისუფლების ფაშისტური რე-

ფლექსების შემხედვარე, აჯანყდა აღმოსავლეთიც – ძირითადად, დონეცკის და ლუჰანსკის ოლქები (კიევმა მოლაღატე-გუბერნატორის კერნისის საშუალებით მოახერხა ხარკოვში წინააღმდეგობის მოძრაობის ჩახშობა ადრეულ ეტაპზე). თუმცა, კიევმა უკვე ვეღარ შეძლო ისევე ადვილად გამკლავებოდა აღმოსავლეთს, როგორც გაუსწორდნენ ოდესის უიარაღო მცხოვრებლებს. დონბასმა შეიარაღებული წინააღმდეგობა გასწია, რაც დღემდე გრძელდება.



მართლმადიდებელი ხალხების ერთიანობის ქართული სიმბოლო: სასწაულთმოქმედი ივერიის ღვთისმშობლის ხატი, ათონის მთიდან ბერების მიერ ჩამობრძანებული, დონბასის დამცველი მართლმადიდებელი მებრძოლების საკურთხებლად.

ის, რომ უკრაინის ახალი პატრონები არ სწყალობენ მართლმადიდებლებს, შემდგომშიც დადასტურდა, დონბასში ბრძოლების დროს. 2014 წლის 1 აგვისტოს საინფორმაციო ნაკადიდან:

„მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის პრეს-სამსახურმა გაავრცელა მიმართვის ტექსტი, რომელიც კიევის მიტროპოლიტის კათედრის მოსაყდრემ, ჩერნოვიცის და ბუკოვინის მიტროპოლიტმა ონუფრიმ (ბერეზოვსკი – ამჟამად უკვე უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ახალი მეთაური – ავტ. შენიშვნა) გაუგზავნა უკრაინის პრეზიდენტს პიოტრ პოროშენკოს. მასში მიტროპოლიტი ბრალს სდებს უკრაინის სამხედროებს დონბასის მართლმადიდებლებზე ზეწოლაში.

„იძულებული ვარ განვაცხადო მორწმუნეთა უფლებების და თავისუფლებების დარღვევის და დონეცკის ეპარქიის მრევლის საქმიანობაში სამხედრო კონტინგენტის ჩარევის შესახებ“ – პორტალ ინტერფაქს-

რელიგიას მოჰყავს მიტროპოლიტის სიტყვები. ამასთან დაკავშირებით მიტროპოლიტმა სთხოვა სახელმწიფოს მეთაურს „პირადად ჩაერიოს სიტუაციაში და გააკეთოს ყველაფერი, რომ ამგვარი ქმედებები ძალოვანების მხრიდან აღარ განმეორდეს“.

როგორც განაცხადა მიტროპოლიტმა ონუფრიმ, მას მიმართა დონეცკის და მარიუპოლის მიტროპოლიტმა ილარიონმა ინფორმაციით მორწმუნეთა უფლებების და თავისუფლებების დარღვევის და დონეცკის ეპარქიის მრევლის საქმიანობაში ჩარევის შესახებ. კერძოდ, 30 ივლისს, დონეცკის ოლქის სოფელ კრასნოარმეისკოეში, ალექსანდრე ნეველის ტაძრის წინამძღვრის იგორ სერგიენკოს სახლთან მივიდა ავტომობილი წარწერით „დნეპრი“, საიდანაც გადმოვიდა შეიარაღებულ პირთა ჯგუფი. ისინი შეურაცხყოფას აყენებდნენ მღვდელს, ეკითხებოდნენ, თუ რა რაოდენობის თანხა გააგზავნა მოსკოვში და ბრალს სდებდნენ ბანდიტებისადმი ხელშეწყობაში. ამ პირებმა ასევე ჩაატარეს ჩხრეკა მის სახლში და მოითხოვეს, რომ ორი დღის ვადაში დაეტოვებინა უკრაინის ტერიტორია და გადაეცა მათთვის ტაძრის სადამფუძნებლო დოკუმენტები, მთელი საეკლესიო ქონების ჩუქების ხელშეკრულებასთან ერთად, ნათქვამია მიმართვაში.

მიტროპოლიტმა ონუფრიმ განაცხადა, რომ მსგავს სიტუაციას ადგილი ჰქონდა 30 ივლისს ამბროსიევკის ოლქის ბლალოჩინის, დეკანოზ ევგენი პოდგორნის მიმართაც. ბლოკპოსტზე მისი ავტომობილის შემონმების შემდეგ მღვდელს შეურაცხყოფა მიაყენეს და უსაფუძვლოდ ბრალს სდებდნენ დონეცკის სახალხო რესპუბლიკის დაფინანსებაში.

„დეკანოზი ევგენი პოდგორნი გაიყვანეს ბლოკპოსტის მიღმა, შეუკრეს ხელები და მინაზე დააგდეს. დაუწყეს ავტომატის კონდახით ცემა მკერდის და წელის არეში, ფეხებს ურტყამდნენ თავში, აიძულებდნენ იმის აღიარებას, რომ ის არის მტრის ცეცხლის მაკორექტირებელი და უყენებდნენ სხვა უსაფუძვლო ბრალდებებს“, – ნათქვამია მიმართვაში.

მიტროპოლიტის თქმით, მღვდელს ამცირებდნენ და აიძულებდნენ ჯვრის ჩამოხსნას. უარყოფითი პასუხის მიღების შემდეგ სამხედროებმა ძალით ჩამოგლიჯეს მას ჯვარი, მის თავთან გაისროლეს და აგრძელებდნენ მის დამცირებას და ფსიქოლოგიური ზეწოლის განხორციელებას. შემდეგ ის თავზე ჩამოცმული ტომრით ორმოში ჩასვეს, გაჩხრიკეს მისი სახლი, წაიღეს ფული და ავტომანქანა, ხოლო მღვდლის 16 წლის ბიჭს ბრალად დასდეს ბანდიტებთან თანამშრომლობა და მკვლევლობით ემუქრებოდნენ. მრევლის და სასულიერო პირების ჩარევის შედეგად დეკანოზი ევგენი გაანთავისუფლეს“.

აი კიდევ ერთი ინფორმაცია, 15 აგვისტოს:

„ნაციონალისტური პარტია „სვობოდას“ და უკრაინის რადიკალური პარტიის აქტივისტებმა, რომლის ლიდერია სკანდალურად ცნო-

ბილი დეპუტატი ოლეგ ლიაშკო, ჩაშალეს მსახურება და შეურაცხყოფას აყენებდნენ მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ერთ-ერთ ტაძრის წინამძღვარს კიევის ოლქში. ინციდენტის ვიდეორჩანაწერი ხელმისაწვდომია YouTube-ზე. როგორც ყურნალისტებს განუცხადა რუსული სახალხო კრების ადამიანის უფლებათა ცენტრის დირექტორმა რომან სილანტიევმა, სოფელ ჩერვონა მოტოვილოვკაში მდებარე ეკლესიის წინამძღვარს, მამა ვლადიმირს, რადიკალებმა შეასხეს ტომატის წვენი და ყველანაირად ამცირებდნენ. ანგარიშსწორების მუქარით, მღვდლისგან ითხოვდნენ ერთი კვირის ვადაში უკრაინის დატოვებას და რუსეთში წასვლას. თავდამსხმელები მას აბრალებდნენ პრორუსული პოზიციის ქონას და „ტერორისტების მხარდაჭერას“. ვიდეოროლიკი ინციდენტის ჩანაწერით შემდეგ ინტერნეტში ატვირთეს“.

ნათელია, რომ საღ აზრზე მყოფი არც ერთი უკრაინელი არ იქნება ამგვარი ხელისუფლების მოხარული. ყირიმმა (16 მარტს) და დონბასმა (11 მაისს) თავიანთი არჩევანი გააკეთეს – ჩაატარეს საყოველთაო რეფერენდუმები, დონეცკის, ლუჰანსკის, სლავიანსკის, კრამატორსკის, მარიუპოლის, გორლოვკის და სხვა ქალაქების საარჩევნო უბნებზე გიგანტური რიგები იდგა. დიდიდან პატარამდე, თითქმის ყველა, აპოლიტიკური ადამიანებიც კი, წავიდნენ ხმის მისაცემად მათი რეგიონის უკრაინისგან გამოსაყოფად ამა თუ იმ ფორმით – ყირიმმა ხმა მისცა რუსეთის შემადგენლობაში შესვლას, ხოლო დონეცკმა და ლუჰანსკმა – თავდაპირველად დამოუკიდებელი რესპუბლიკების შექმნას.



ყირიმელები მხარს უჭერენ ყირიმის რუსეთში დაბრუნებას.



ეს არც მიტინგია, არც დემონსტრაცია. ეს რეფერენდუმზე ხმის მისაცემად რიგში ჩამდგარი ხალხია (11 მაისი, ქ. მარიუპოლი, დონეცკის ოლქი).

აქვე განვმარტავთ, კიდევ ერთხელ: ნორმალურ პირობებში ეს ადამიანები არ აპირებდნენ უკრაინის სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოსვლას, თუნდაც ყირიმის და სევასტოპოლის რუსები, რომლებიც პრინციპში უკმაყოფილონი კი იყვნენ 1954 წლის ხრუშჩოვის გადაწყვეტილების საფუძველზე უკრაინის შემადგენლობაში ყოფნით, მაგრამ ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ, როგორც უკრაინის კანონმორჩილი მოქალაქეები. იგივე ეხება აღმოსავლეთის რეგიონებს.



მოფაშისტო „მაიდანი“.

შექმნილ სიტუაციაში ყირიმს და სევასტოპოლს უფრო მეტად გაუმართლათ: მათ ყველაზე ადრე დანიშნეს რეფერენდუმი და მოასწრეს უკრაინის სამხედრო ნაწილების ნეიტრალიზაცია, რომლებიც ნახევარკუნძულზე იმყოფებოდნენ. რუსეთის ფედერაცია, რომელსაც ხრუშჩევმა უსაფუძვლოდ ჩამოართვა ნახევარკუნძული და გადასცა უკრაინის სსრ-ს, დაეთანხმა ყირიმელების ამ სურვილს და შეერთება მოხდა მშვიდობიანად, ერთი გასროლის და მსხვერპლის გარეშე, რა თქმა უნდა, მოსკოვი დაეხმარა ყირიმელებს მშვიდობის შენარჩუნებასა და კიევის ექსტრემისტების მხრიდან პროვოკაციების თავიდან აცილებაში, რეფერენდუმის წინ. რუსეთის ჯარმა უდიდესი პროფესიონალიზმი გამოავლინა, ზედმეტი ხმაურის და კონფლიქტების გარეშე დაბლოკა უკრაინის ყველა დანაყოფი ყირიმში. მწვანე კამუფლაჟში ჩაცმულ რუსეთის ელიტურ ჯარისკაცებს, რომლებიც საქმეს ზედმეტი ყვირილის, მუქარების და ხმაურის გარეშე აკეთებდნენ, ხალხში ხუმრობით „მწვანე კაცუნები“ და „თავაზიანი ადამიანები“ შეარქვეს. მათი ნვლილი ყირიმში მშვიდობის შენარჩუნებაში უდიდესია.



„თავაზიანი ადამიანები“.

ისინი არ იყვნენ ოდესაში, არ იყვნენ დონბასში. ამიტომ უკრაინის სხვა რეგიონებში, რომლებიც გამოვიდნენ „ბანდერელების“ წინააღმდეგ, მოვლენები სხვა სცენარით განვითარდა. რეფერენდუმის ჩატარება მოხერხდა, მაგრამ მშვიდობის შენარჩუნება – არა. კიევის ხელისუფლებამ,

განსაკუთრებით პოროშენკოს არჩევის შემდეგ ივნისში, დაიწყო სადამ-სჯელო ოპერაციების წარმოება, რასაც „ანტიტერორისტული ოპერაცია“ დაარქვა. გორლოვკა, დონეცკი, ლუჰანსკი და ბევრი სხვა ქალაქი ყოველდღე იბომბება საარტილერიო ცეცხლით, იღუპებიან მშვიდობიანი ადამიანები. დასავლეთს მათი ბედი სრულიად არ აინტერესებს. როგორც პოლიტიკოსები, ისევე მასმედია სდუმან. მათ ხმა არ ამოიღეს ოდესის ტრაგედიის შესახებ (2 მაისს) – თითქმის არ ყოფილა ვრცელი სიუჟეტები დასავლეთის ტელევიზიებში და პრესაში, დასავლელმა ჟურნალისტებმა გაკვრით ახსენეს, რომ დაპირისპირების შედეგად ოდესაში, ხანძარში დაიღუპა რამდენიმე ათეული ადამიანი, მაგრამ ის, რომ ეს ადამიანები შენობაში შერეკეს და მას ცეცხლი წაუკიდეს, არსად არ თქმულა, მიუხედავად იმისა, რომ რუსული არხებით გავრცელებული კადრებიდან ეს კარგად ჩანს. დასავლელმა პოლიტიკოსებმა და ჟურნალისტებმა ასევე „ვერ შენიშნეს“ მოქალაქეთა დიდი რაოდენობა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს რეფერენდუმებში, ვერ შენიშნეს მათი ენთუზიაზმი, დიდი სურვილი და რწმენა იმისა, რომ ფაშიზმისგან თავს იხსნიან. გულწრფელად ვალი-არებ, ამ სტრუქტურების ფაქტორს მაშინ არ სჯეროდა, რომ დასავლეთის მასმედიას შეუძლია იგნორირება გაუკეთოს ან ეჭვი შეიტანოს 16 მარტის და 11 მაისის რეფერენდუმებზე ხალხის დიდი მოზღვაავების ფაქტებში, მაგრამ სწორედ ასე მოხდა.

ამავე დროს აღვნიშნავთ, რომ დასავლეთის ლიდერებმა, აშშ-ს პრეზიდენტმა ობამამ და საფრანგეთის პრეზიდენტმა ოლანდმა ხმა ამოიღეს სამოქალაქო პირთა შორის მსხვერპლზე და მოუწოდეს კიევის, რომ ზედმეტად არ გაერთოს „ატო“-ს ჩატარებით, ხოლო გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა შტაინმაიერმა, ფრანგ კოლეგა ფაბიუსთან ერთად, ორგანიზება გაუკეთა ბერლინში რუსეთის და უკრაინის საგარეო საქმეების მინისტრების შეხვედრას, აღნიშნა რა, რომ უკრაინას სჭირდება „საგზაო რუკა“ ცეცხლის შეწყვეტის და სტაბილიზაციის შესახებ. მაგრამ ეს ყველაფერი ძალიან გვიან მოხდა, აგვისტოს შუა რიცხვებისთვის, როცა დონბასი უკვე სისხლისგან იცლებოდა და რუსეთმა იქ სატვირთო მანქანების კოლონა გააგზავნა მოსახლეობის დასახმარებლად.

ყირიმისგან განსხვავებით, საბჭოთა კავშირის დროს დონეცკის და ლუჰანსკის ოლქები რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის შემადგენლობაში არ შედიოდნენ, ისინი უკრაინის სსრ-ს ნაწილს წარმოადგენდნენ. ამიტომ რუსეთს არ გააჩნდა არავითარი იურიდიული საბაბი, რომ იქ სამშვიდობო ძალები შეეყვანა, თავის საზღვრებთან ომის და ქაოსის თავიდან აცილების მიზნით, მით უმეტეს, ეს ტერიტორიები მიეერთებინა. ეს განსხვავება აღნიშნა 2014 წლის მარტში ერთ-ერთ პრეს-კონფერენციაზე რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა. შესაძლოა, ეს პუტინის პოლიტიკური შეცდომა იყო და არ იყო საჭირო იურიდიული საკითხებით ხელების შებოჭვა, როცა საქმე ეხება მოახლოებულ ჰუმანიტარულ კატასტროფას, მაგრამ პუტინი

მოიქცა საერთაშორისო სამართლიდან და არა პოლიტიკური ინტერესიდან გამომდინარე, თუმცა, შესაძლებელია, რომ ის პოლიტიკურადაც მართალია და არ იყო საჭირო აღმოსავლეთ უკრაინაში ჯარის შეყვანის დაჩქარება – ეს რუსეთს დაასუსტებდა ეკონომიკურად.

სხვათა შორის, ყირიმის შეერთებაც საკმაოდ ძვირი უჯდება რუსეთს, თუნდაც რომ არ ყოფილიყო დასავლეთის სანქციები. ეს კიდევ ერთი არგუმენტია იმის სასარგებლოდ, რომ რუსეთს არ სჭირდებოდა უკრაინისთვის ყირიმის წართმევა და ამისკენ მას უბიძგა თავად კიევმა. პრეზიდენტმა პუტინმა იმავე პრეს-კონფერენციაზე აღნიშნა, რომ სახელმწიფო გადატრიალება უკრაინაში და აქცენტების მკვეთრი ცვლილება რევოლუციური ცვლილებების შედეგად, ასაბუთებს საზღვრების კორექტირების შესაძლებლობას (მხედველობაში ჰქონდა ყირიმი), რადგან რევოლუციის შედეგად ჩვენ საქმე გვაქვს უკვე სხვა სახელმწიფოსთან. ასე იყო რუსეთის შემთხვევაშიც 1917 წელს, როცა რუსეთის იმპერიის ნაცვლად წარმოიქმნა ახალი სახელმწიფო, რამაც გამოიწვია ძველი საზღვრების ცვლილება – აღნიშნა რუსეთის პრეზიდენტმა.



ალექსეი მოზგოვოი, ლუგანსკის რაზმელთა ბრიგადის ჯერ-ჯერობით დაუმარცხებელი მეთაური: „მე, ისევე, როგორც ბევრ სხვა ადამიანს ნოვოროსიაში, არ შემიძლია ვიცხოვრო იმ იდეოლოგიით, რომელსაც თავს ახვევს დასავლეთი დღევანდელ კიევს. მე არ შემიძლია, გავიგო ერთსქესიანი ქორწინებები, არასრულწლოვანთა ოუსტიცია, როდესაც მშობლებს უკრძალავენ შვილების აღზრდას. ჩვენ ისედაც მოგვწყვიტეს ჩვენს ფესვებს. ახლა კი საერთოდ გვიკრძალავენ, ვიყოთ ისინი, ვინც ვართ“ (გაზეთი „მოსკოვსკი კომსომოლც“, 28.8.2014).

პუტინი პერკეტი კაკალი აღმოჩნდა, ხოლო ახლა 2014 წელია და არა 1999

რუსეთის წინააღმდეგ სანქციების ეტაპობრივი შემოღება და გამკაცრება მიზნად ისახავდა რუსეთის ლიდერის და მისი გარემოცვის დაშინებას. შეზღუდვები შეეხო, პირველ ყოვლისა, რუსეთის ბანკებს და მსხვილ კომპანიებს, რომლებიც მოიპოვებენ და გადაამუშავებენ სასარგებლო წიაღისეულს. რუსეთმა არ უნდა მიიღოს ტექნოლოგიები თავისი ენერგეტიკული პოტენციალის და, რა თქმა უნდა, სამხედრო სექტორის გასავითარებლად. აღვნიშნავთ, რომ რუსეთის ბანკების და კომპანიების სია, რომლებსაც სანქციები შეეხოთ, საქმის ცოდნით არის შედგენილი, რომ მოხდეს რუსეთის ეკონომიკის ცალკეული სექტორების განვითარების შეფერხება. გარდა ამისა, ცალკეულ რუს მაღალჩინოსნებს, პოლიტიკოსებს, სამხედროებს და ბიზნესმენებს აეკრძალათ ევროკავშირში და აშშ-ში შესვლა, მათი ანგარიშები დასავლეთის ბანკებში დაყადაღებული იქნება, თუ ასეთები აღმოჩნდება.

მთლიანობაში, უნდა აღინიშნოს, რომ სანქციები საკმაოდ სერიოზული აღმოჩნდა. მაგრამ ეს მაქსიმუმია, რისი გაკეთებაც დასავლეთს შეუძლია, ხოლო ეს ვერ შეაფერხებს რუსეთის განვითარებას. დიახ, საჭირო იქნება გარკვეული დრო, რომ რუსეთი გადაერთოს პარტინიორების გაღრმავებაზე აზიის და ლათინური ამერიკის ქვეყნებთან, და პირველ რიგში, საკუთარი მრეწველობა და მაღალი ტექნოლოგიები განავითაროს. თუკი ეს ყველაფერი ხერხდებათა საბჭოთა პერიოდში, ახლა რატომ არ შეიძლება ამის გაკეთება?! რეალურად დასავლეთმა უბიძგა რუსეთს, რომ გააძლიეროს ავტარკია, თვითკმარობა და გამოვიდეს გლობალიზაციური პროცესებიდან, რომლებიც დიდწილად თავსმოხვეული იყო მისთვის სსრკ-ს დაშლის შემდეგ. პირველ რიგში, საუბარია საკუთარი წარმოების განვითარებაზე უდიდესი შიდა ბაზრის დასაკმაყოფილებლად. რუსი მწარმოებლები უკვე სიხარულით უყურებენ სანქციებს, რადგან ეს მათი შანსია, საკუთარი თავი წარმოაჩინონ. სანქციებმა გარკვეული დისკომფორტი შეუქმნეს ბანკებს და მსხვილ კორპორაციებს, რომლებსაც ბიზნესი დასავლელ პარტნიორებთან ჰქონდათ, მაგრამ არც ერთი მათგანი არ შეწყვეტს არსებობას სანქციების გამო.

ასევე ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ გარემოებას: სანქციები მაქსიმალურ დისკომფორტს უქმნიან რუს ოლიგარქებს-მილიარდერებს, რომლებიც ასე თუ ისე დაახლოებული არიან პრეზიდენტთან. დასავლელი პოლიტიკოსების გათვლა ამ დროს, როგორც ჩანს, ხდებოდა იმაზე, რომ პუტინის უახლოესი გარემოცვა ზენოლას მოახდენდა მასზე უკრაინული პოლიტიკის შეცვლის მოთხოვნით. მეორე

მხრივ, დასავლეთში არ ფარავდნენ იმედებს იმასთან დაკავშირებით, რომ რუსეთის მოქალაქეების საცხოვრებელი პირობები გაუარესდება და ხალხი ისევ მოითხოვს პრეზიდენტისგან, რომ დათმობებზე წავიდეს. ამგვარი ეიფორიული განწყობები გამოსჭვიოდა დასავლური მასმედიის ბევრ პუბლიკაციაში და რეპორტაჟში.

რა თქმა უნდა, არაფერი მსგავსი არ მომხდარა. პუტინის გარემოცვა არ აჯანყდება სანქციების გამო, პუტინმა ჯერ კიდევ შარშან ყველა გააფრთხილა: სახელმწიფო ჩინოვნიკებს არ უნდა ჰქონდეთ უძრავი ქონება და ანგარიშები უცხოეთში! ამით ისინი უცხოეთის ქვეყნებზე დამოკიდებული ხდებიან. პუტინის გაფრთხილებას უკვალოდ არ ჩაუვლია, ბევრმა შეძლებულმა ადამიანმა რუსეთში, რომელიც, ამავე დროს, სახელისუფლებო ელიტის წარმომადგენელიცაა, დასავლეთის საბანკო და სასამართლო სისტემების „დამოუკიდებლობის“ რეალური ფასის გაანალიზების შემდეგ, თავისი ქონების შენახვაზე იზრუნა, რომ არ გამხდარიყვნენ დასავლური პოლიტიკის მხრიდან შანტაჟის ობიექტები. რაც შეეხება ხალხს მთლიანობაში: ჯერ ერთი, დასავლეთის სანქციებმა ვერ გამოიწვია რუსეთის მოსახლეობის ცხოვრების პირობების საგრძნობი გაუარესება. პროდუქტების უმნიშვნელო გაძვირება, იძულებითი განშორება ყველის ევროპულ სორტებთან და ა.შ. (ისიც რუსეთის კონტრზომების შედეგად) – კი, მაგრამ მეტი არაფერი.



დასავლეთის ლიდერები არ ელოდნენ: ორმაგი „ქიში“ პუტინისაგან (რუსული კარიკატურა).

მაგრამ რომც წარმოვიდგინოთ, რომ დასავლური სანქციები რამდენადმე გააძლიერებენ ინფლაციას და სხვა ნეგატიურ პროცესებს რუსეთის ეკონომიკაში, საინტერესოა, როგორ წარმოუდგენიათ დასავლეთში რუსების და მათი ხელმძღვანელობის რეაქცია? მაგალითად, გაძვირდა არაყი და ძეხვი, რა მოხდება ამის შემდეგ – რუსები შეიკრიბებიან წითელ მოედანზე და პუტინისგან მოითხოვენ ყირიმის დაბრუნებას უკრაინისთვის, ხოლო დონბასში მართლმადიდებლების მიტოვებას ბედის ანაბარა? ან, იქნებ თავად პუტინი გამოვა ამგვარი ინიციატივებით, წითელ მოედანზე პროტესტების გარეშე? თუ პუტინი ადგილს დაუთმობს გორბაჩოვს და ის მორიგ „პერესტროიკას“ და სახელმწიფოს დაშლას ჩაატარებს? – რა თქმა უნდა, ეს სარკაზმია, არაფერი მსგავსი არ შეიძლება მოხდეს. **რუსეთი არავითარ შემთხვევაში არ დაიხვეს უკან, ხოლო პუტინის ქმედებები კიდევ უფრო გადამწყვეტი გახდება.** მხოლოდ ერთია გასაკვირი: დასავლეთში რუსეთს თითქოს სწავლობენ, მათ ჰყავთ რუსეთის სპეციალისტები სხვადასხვა დარგში, ანალიტიკოსები, მკვლევარები, აგენტები – რომლებიც ინფორმაციას მოიპოვებენ, და სხვა სასარგებლო ადამიანები. ნუთუ ასე გაუგებარია რუსი ხალხის და მისი ლიდერის – ვლადიმირ პუტინის ხასიათი? ნუთუ დასავლეთში დაიჯერეს, რომ რუსეთი დაიხვეს ამგვარი სამარცხვინო ზენოლის ქვეშ? დიახ, რუსეთი დიდწილად შეიცვალა, გლობალიზაციის საცეცები მასაც მისწვდა, რუსი პოლიტიკოსები და ოლიგარქები თავიანთ შვილებს აგზავნიან დასავლეთში სასწავლებლად და საცხოვრებლად (ყოველ შემთხვევაში, ბოლო დრომდე ასე იყო), რუსები სიამოვნებით ყიდულობენ ბინებს უცხოეთში და ისვენებენ იქ, მათ დიდწილად მიიღეს დასავლური ფასეულობები და ფსევდოფასეულობები. მაგრამ ნათელი უნდა იყოს, რომ ეს ყველაფერი არასაკმარისია იმისთვის, რომ საშუალოსტატისტიკურმა რუსმა უარი თქვას პატრიოტულ შეხედულებებზე. მორწმუნე მართლმადიდებელი ადამიანების რაოდენობა რუსეთში იზრდება, მათ შორის, არმიაში. ყველგან გაძლიერდა პატრიოტული სული, ახალგაზრდობაშიც კი. ტყუილად როდის სცემენ რუსეთში განსაკუთრებულ პატივს დიდი სამამულო ომის ხსოვნას და მის ვეტერანებს, მათი ეროვნული კუთვნილების მიუხედავად. რუსული წვეულებების ზედმეტობები, ველური სცენები მედესანტების დღეს ქუჩებში, დიდ ქალაქებში სტრიპტიზბარების და გეი-კლუბების არსებობა არ უნდა გახდეს მცდარი დასკვნის მიზეზი: რუსეთი ცოცხალი ორგანიზმია, მისი ქრისტიანული და ნაწილობრივ მუსულმანური შემადგენელი მაინც უფრო ძლიერია, ვიდრე დასავლური „გლობალიზაციის“ დანალექები. რუსეთი იყო და არის ამ გლობალიზაციის მიმართ წინააღმდეგობის კერა, და რაც მთავარია, ხალხში, ქვეცნობიერ დონეზე არსებობს ამის გაგება.

„პუტინის რეჟიმის გათვლებზე ზემოქმედების კუთხით, რაც უკავშირდება უკრაინას, ჩვენ ვერ ვხედავთ იმ შედეგებს სანქციებისგან,

რაც ჩვენ გვინდოდა“ – განაცხადა 4 აგვისტოს ბრიფინგზე თეთრი სახლის პრეს-მდივანმა ჯოშ ერნესტმა. გვინდა დავარწმუნოთ ბ-ნი პრეს-მდივანი: ვერც ნახავთ!

აი რა ვერ გაიგეს დასავლეთში. ეს მათი ელექტორატი შეიძლება შეკრთეს და დეპრესიაში ჩავარდეს ცხოვრებისეული პირობების გაუარესების გამო, ხოლო რუს ხალხს ამაზე ბევრად მეტიც აუტანია. 1999 წელს, იუგოსლავიის კრიზისის დროს, რუსეთი ობიექტურად სუსტი იყო, იმისთვის, რომ დასავლურ ექსპანსიას შენინაალმდეგებოდა. ძალები არასაკმარისი იყო 2000-იანი წლების დასაწყისშიც, როცა დაიწყო „ფერადი“ რევოლუციების პირველი ტალღა. მაგრამ რუსეთი პუტინის ხელმძღვანელობის ქვეშ ყოველწლიურად ძლიერდებოდა. ამჟამად ის მზადაა დასავლეთისთვის წინააღმდეგობის გასაწევად და დასავლეთის სანქციებს უპასუხებს თავისი, შესაძლოა უფრო მტკიცე ენული სანქციებით.

ევროპა უფრო მეტად არის დამოკიდებული რუსეთთან ვაჭრობაზე, ვიდრე აშშ. ავილოთ თუნდაც ბუნებრივი გაზით მომარაგება. ფინეთი, შვედეთი, ბალტიის ქვეყნები და ბულგარეთი 100%-ით რუსულ გაზს მოიხმარენ. გერმანია თავისი მოთხოვნის ერთ მესამედს ფარავს რუსული გაზით. ასევე მაღალია რუსულ ენერგეტიკულ ნედლეულზე დამოკიდებულება ჩეხეთის, პოლონეთის, ბელგიის, ნიდერლანდების, უნგრეთის, ავსტრიის, სლოვაკიის, სლოვენიის, ხორვატიის, რუმინეთის და საბერძნეთის შემთხვევაში. საფრანგეთი და იტალია მოხმარებული გაზის 20%-ს ასევე რუსეთიდან იღებენ. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გააფრთხილა ევროკავშირი, რომ რუსეთთან ულტიმატუმების და სანქციების ენაზე საუბარმა შეიძლება გამოიწვიოს ენერგომემცველების გაძვირება (იხ.რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს უკვე ნახსენები 30 ივლისის კომენტარი). რუსეთმა ჩინეთთან ხელი მოაწერა მრავალმილიარდიან კონტრაქტს ბუნებრივი გაზის მიწოდების შესახებ, ასე რომ, თუკი ევროპა რუსული გაზის გარეშე დარჩება, რუსეთი არ დარჩება შემოსავლების გარეშე. მას თავისუფლად შეეძლება გაძვირებული ნავთობის გაყიდვა: რუსეთი არ დაილუპება ენერგომემცველების ევროპაში ექსპორტის შეწყვეტით, სამაგიეროდ იქნება სრული ქაოსი ევროპის ეკონომიკაში. ევროპას უახლოეს მომავალში არ გააჩნია რუსული გაზის ჩანაცვლების საშუალება, არ არსებობს ამის ტექნიკური შესაძლებლობები. ზოგიერთი ამერიკელი სენატორის პოპულისტური განცხადებები, რომ ევროპას უნდა მივანოლოთ თხევადი გაზით, უბრალოდ სიტყვებია და მეტი არაფერი. მჭიდროდ დასახლებულ ევროპაში ასევე შეუძლებელია ფიქალის გაზის საბადოების ათვისება, მით უმეტეს, სწრაფი ტემპებით.

ანუ, ევროპა ცეცხლს ეთამაშება. აშშ-ს ეს აწყობს კიდევ ერთი მხრივ: ისინი ასუსტებენ ეკონომიკურ კონკურენტს – ევროკავშირი

პლუს რუსეთი, მათ შორის პარტნიორობის განწყვეტის საშუალებით. მაგრამ, მეორე მხრივ, ისინი ასუსტებენ თავიანთვე პარტნიორობებს ევროპაში. ასე რომ, აშშ სერიოზულ პოლიტიკურ რისკზე მიდის.

რუსეთი ჯერ არ აპირებს ევროპის დასჯას და გაზის ვენტილის გადაკეტვას. ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში. მაგრამ რუსეთმა უკვე უპასუხა სანქციებს მტკივნეული კონტრსანქციებით, შეზღუდა რა რუსეთის ბაზარზე ევროპის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოხვედრა. რუსეთის კონტრზომების პირველმა შედეგებმა არ დააყოვნა (ეს ჯერ მხოლოდ დასაწყისია). დასავლური პრესის ქედმაღლური ტონი რუსეთის წინააღმდეგ სანქციების შემოღების მომენტში, მსუბუქი პანიკით შეიცვალა. აი ზოგიერთი სათაური გერმანული პრესიდან (არადა, გერმანელები ეკონომიკურად სხვა ევროპელებთან შედარებით გაცილებით მშვიდად გრძნობენ თავს):

„გერმანიის ეკონომიკა მცირდება, იტალია რეცესიაში ვარდება, ევროზონა სტაგნაციას განიცდის: ევროპის კონიუნქტურა სახიფათოდ შესუსტდა“ — Spiegel-online, 14/08/2014.

„რუსეთი სპობს გერმანიის კეთილდღეობას. გერმანიის ეკონომიკის სიმძლავრე მცირდება. რუსეთთან კონფრონტაცია კომპანიებს ამძიმებს და შემდგომ თვეებში დიდ პრობლემად გადაიქცევა“ — Die Welt, 14/08/2014.

დასკვნები საქართველოსთვის

საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ ამა წლის თებერვალში დავოსში გამოხატული ფრთხილი, დიპლომატიური პოზიცია უკრაინის მოვლენების მიმართ, სრულიად გამართლებული იყო. და საერთოდ, ირაკლი ლარიბაშვილი ყოველთვის ზომიერ პოზიციას გამოთქვამს რუსულ-ქართული ურთიერთობების მიმართ – გრძნობს პოლიტიკოსის პასუხისმგებლობას საკუთარი ქვეყნის წინაშე. სააკაშვილს არ გააჩნდა პასუხისმგებლობის გრძნობა და მან საქართველო გადაჩეხა უახლოეს მეზობელთან, ერთმორწმუნე რუსეთთან კონფრონტაციის ქაობში. ეს შეგნებულად გაკეთდა, ჩვენ ამის შესახებ არაერთხელ დაგვინერია და გვითქვამს. საქართველოს ახალი ხელისუფლება აცნობიერებს, თუ რამდენად დამლუპველი შეიძლება იყოს ქვეყნისთვის „ცივი ომის“ გაგრძელება რუსეთთან. ამიტომ ჩვენი ხელმძღვანელობის გენერალური ხაზი – არ ჩაერიოს ზედმეტად აქტიურად უკრაინაში მიმდინარე მოვლენებში – სრულიად მისაღებია.

მაგრამ უგუნურად იქცევა უკრაინის ახალი ხელისუფლება. ის არ იკმარა, რომ ქვეყანაში ქაოსი შემოიტანა, სხვისი ინსტრუმენტი გახდა, რუსეთის წინააღმდეგ მიმართული, ეს ხელისუფლება პრო-

ვოკაციულად, სულ მცირე, აგდებულად იქცევა საქართველოს მიმართ. იმ დროს, როცა საქართველოში მიმდინარეობს ქვეყნის ყოფილი მმართველების მიმართ გამოძიება, ძალზე არაეთიკურია უკრაინის პრეზიდენტის მხრიდან სააკაშვილის დატოვება თავის მრჩევლად, რომელიც გაუთავებლად ლანძღავს საქართველოს დემოკრატიულად არჩეულ ხელისუფლებას. უკრაინა რჩება „ნაციონალების“ პლაცდარმად, მათ იქ ინვევენ „რეფორმების გამოცდილების გასაზიარებლად“ და ყველა საშუალებას აძლევენ, სინამდვილეში, ძირგამომხრელი საქმიანობა აწარმოონ ქართველი ხალხის წინააღმდეგ, რომელმაც უარი თქვა მათ „რეფორმებზე“. უფრო მეტიც, „მაიდანის“ ხელისუფლების წარმომადგენლები იმდენად გათავხედდნენ, რომ თბილისში, კრიმინალი მერაბიშვილის სასამართლო პროცესზე ოდიოზური იური ლუცენკო გამოგზავნეს, რომელიც ბედავდა სასამართლო პროცესში ჩარევას და მოსამართლის მიმართ მუქარას. გასაკვირი არაა, რომ ლუცენკო სასამართლო სხდომის დამთავრების შემდეგ ლანძღავდა და აგინებდა დენაციფიცირებულ საქართველოს, ქართულსავე მასმედიასთან ინტერვიუებში. ეს იმის მიუხედავად მოხდა, რომ ცოტა ხნით ადრე პრემიერმა ლარიაშვილმა უკრაინას ურჩია, მაინცდამაინც დიდი ყურადღება არ მიაქციოს სააკაშვილის რჩევებს. ფაქტობრივად, კიევმა სილა გააწაფა თბილისს. ჩვენ ეს უნდა გავითვალისწინოთ და სწორი დასკვნები გამოვიტანოთ – დონბასის მცხოვრებნი იმავე ავანტიურისტებისგან იცავენ თავს, რომლებიც უფრო მეტად აფასებენ „ნაციონალებთან“ მეგობრობას, ვიდრე საქართველოსთან.

საქართველომ ხელი უნდა შეუშალოს და დასაჯოს ის კრიმინალური სტრუქტურები, რომლებიც საქართველოდან უკრაინაში აგზავნიან ზოგიერთ პირს საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის მისაღებად. მართალია, ქართველმა ბოევიკებმა, სინამდვილეში კი „ნაციონალებმა“, აქამდე დიდად ვერ გამოიჩინეს თავი, დონბასელი აჯანყებულები ნიჭიერი რუსი მეთაურების ხელმძღვანელობით ბრწყინვალედ უმკლავდებიან უკრაინის შეიარაღებულ ძალებს. სხვებთან შედარებით უფრო დიდხანს ტივტივებს ერთ-ერთი ბოევიკი, აშკარად მცირე მასშტაბის კრიმინალი, რომელმაც ძალღუთი მეტსახელი მოირგო – „დობერმანი“. ეს „დობერმანი“ არცხვენს ყველა ნამდვილი ქართველი სამხედროს ღირსებას, პოზირებს მინაზე დანვენილი და ხელებშეკრული ტყვეების ფონზე, მით უმეტეს, რომ თავად მას მტრის დატყვევებაში არავითარი მონაწილეობა არ მიუღია. „დობერმანი“, როგორც ჩანს, არც ომობს წინა ხაზზე, მუდმივად იღებს ვიდეოკლიპებს ფრონტის ხაზიდან შორს, სადაც აცხადებს, რომ მტრების ჯიბრზე ცოცხალია (თითქოს მისი პერსონა ვინმეს აინტერესებდეს). აი ასეთი კლოუნები გამოდიან საქართველოს სახელით უკრაინაში,

ხოლო ჩვენმა ხელისუფლებამ ამას ყურადღებით უნდა ადევნოს თვალყური, რადგან საქმე ეხება საქართველოს რეპუტაციას. ჩვენ, ევრაზიის ინსტიტუტში, მაგალითად, გაგვაჩნია ინფორმაცია, თუ რა არხებით და ვინ აგზავნის ამგვარ სუბიექტებს უკრაინაში და მზად ვართ გავანდოთ ის კომპეტენტურ ორგანოებს, თუკი მათ ჯერ კიდევ არ გააჩნიათ ამგვარი ცნობები.

ასევე კარგი იქნებოდა, თუკი საქართველო, ევროკავშირთან „ასოციაციის“ ხელშეკრულების ხელმოწერით ტკობის მაგივრად, ყურადღებას მიაქცევდა გაზრდილ შესაძლებლობებს რუსეთსა და ევროკავშირს შორის სანქციური დაპირისპირების ფონზე. ახალი ინფორმაცია:

რუსეთმა განსაზღვრა პრიორიტეტული ქვეყნების სია სურსათის მონოდების თვალსაზრისით, რომელიც ადრე ევროპის ქვეყნებიდან შემოდოდა, – განაცხადა რუსეთის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ნიკოლაი ფიოდოროვმა. „ჩვენთვის პერსპექტიული ქვეყნებია ხილ-ბოსტნეულის მონოდების თვალსაზრისით – აზერბაიჯანი, უზბეკეთი, სომხეთი, ტაჯიკეთი, რალაც დოზით ყირგიზეთი. აქვე ახლოს არიან თურქეთი, ირანი, სერბეთი. ძალიან პერსპექტიული ქვეყნებია ირანი, მაროკო და ეგვიპტე – მათ სჭირდებათ ჩვენი პროდუქცია, კერძოდ, ხორბალი და ზეთი, ხოლო ჩვენ გვინდა მათი ბოსტნეული, ხილი, კენკრა და ციტრუსები“. მისი სიტყვებით, მძლავრი ბაზარი, რომელიც „კარზე გვიკაკუნებს“ – ლათინური ამერიკის ქვეყნებია. „ესაა ჩილე, არგენტინა, პარაგვაი, ეკვადორი, პერუ. მათთან მოლაპარაკებებს ვანარმოებთ და ისინი უკვე რიგში დგანან, რომ გაზარდონ თავიანთი პროდუქციის მონოდება“, – თქვა ფიოდოროვმა.

კარგი იქნებოდა, თუკი ამ სიაში საქართველოც აღმოჩნდებოდა. განსაკუთრებით მაშინ, როცა ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონის მცხოვრებლებს ვერსად გააქვთ თავიანთი შესანიშნავი ხარისხის ვაშლი და მოსავალი ფუჭდება.

* * *

მთლიანობაში, მართლმადიდებლობის აღორძინებასა და მართლმადიდებელი ხალხების ერთიანობას ალტერნატივა არ გააჩნია, ხოლო დასავლეთის ექსპანსია ჯერ კიდევ გრძელდება, მაგრამ რუსეთის სიმტკიცის გამო მანაც დასასრულისკენ მიდის. ამიტომ ყველა ჩვენგანმა უნდა გაიგოს: უკრაინაში მიმდინარე მოვლენები არც სეპარატიზმია და არც ერთი სახელმწიფოს ტერიტორიების მითვისება მეორე სახელმწიფოს მიერ, არამედ ყოველივე ეს წარმოადგენს გლობალური ცივილიზაციური დაპირისპირების ნაწილს.

ევრაზიის ინსტიტუტი, თბილისი.

28 აგვისტო, 2014 წ.

www.politforumi.com / www.geurasia.org